

619
1967



ԵՄԿ
№ 6 ՈՅԵՆՆՈ 1967



პროლეტარებო აველა ქვეყნისა, შვერდლით

ქართული

ვახტანგ გორგასალის ძეგლი თბილისში

ქანდაკება ელგუჯა ამაშუკელისა
ფოტო თარხან არჩვაძისა

№ 6 (367) ივნისი, 1967 წ.

გამოცემის წელი 45-ე.

სოციალისტური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიბერალური-სამხარკომუნისტური
ქართული

ოსნაკა 100 საქართველო

10.369

მოსკოვი, კრემლი. 1919 წლის 28 მარტი. დღის
ოთხი საათია. ყოფილ სასამართლო დაწესე-
ბულებათა მრგვალ დარბაზში ტევა არ არის. აქ
შეკრებილან პარტიის მერვე ყრილობის დელეგა-
ტები, რათა განიხილონ მსოფლიოში პირველი სო-
ციალისტური სახელმწიფოს მშვიდობიანი სამეურ-
ნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანები.
მიმდინარეობს ყრილობის მერვე სხდომა. ტრიბუნა-
ზეა ვ. ი. ლენინი. ყრილობა ფეხზე ამდგარი მიე-
სალმება პარტიის ბელადს, დიდი ოქტომბრის ის-
ტორიული გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორ-
განწატარს, III კომუნისტური ინტერნაციონალის
შემქმნელს. ოვაციას ბოლო არ უჩანს. ვ. ი. ლენი-
ნი სთხოვს დარბაზში მყოფთ დაწყნარდნენ. ის ლა-
პარაკობს დინჯად, აუღელვებლად. მიი მოხსენების
თემა სოფლად მუშაობის ამოცანები. ეს ამოცანე-
ბი კი ჭეშმარიტად გრანდიოზულია. საქმე ეხება
მთელი მშრომელი გლეხობის ჩაბმას სოციალისტურ
მშენებლობაში. უამისოდ სოციალიზმის გამარჯვება
შეუძლებელია. ყრილობამ უკვე მიიღო პარტიის
ახალი პროგრამა, რომელშიც ასახულია საშუალო
გლეხობასთან მტკიცე კავშირის პოლიტიკაზე გა-
დასვლა. მაგრამ ეს მხოლოდ საქმის დასაწყისია.
საჭიროა საშუალო გლეხობის მიმართ პარტიის ამ
ახალი პოლიტიკის განხორციელების კონკრეტული
ფორმებისა და მეთოდების გამოხსნა. და ახლა
ვლადიმერ ილიას ძე სწორედ ამაზე ლაპარაკობს.
„ჩვენ რომ შეგვეძლოს ხვალ 100 ათასი პირველ-
ხარისხის ტრაქტორის მიცემა, — მიმართავს იგი
ყრილობის დელეგატებს, — მათი მომარაგება ბენ-
ზინით, მათი მომარაგება შემანქანებით (თქვენ
მშვენივრად იცით, რომ ჭერჭერობით ეს ფანტა-
ზია), მაშინ საშუალო გლეხი იტყუდა: „მე კომუ-
ნის მომხრე ვარ (ვ. ი. კომუნისმის მომხრე
ვარო)“.

100 ათასი ტრაქტორი... ამ დროისათვის ეს მართ-
ლაც ფანტასტიკური ციფრი იყო. 1920 წლის ბო-
ლოს საბჭოთა რუსეთში მხოლოდ 860 მოძველე-
ბული კონსტრუქციის ტრაქტორი მუშაობდა, სა-

ტრაქტორი მრეწველობა არ არსებობდა, ხოლო
მთელ ლითონდამმუშავებელ მრეწველობას 100
ათასი რკინის სახნისის გამოშვებაც კი არ შეეძლო.
ყრილობის დელეგატებმა ეს კარგად იცოდნენ, მაგ-
რამ არ ეშინოდათ ფანტაზიის; მათ კარგად ახსოვ-
დათ თავის დროზე როგორ ოცნებობდა ვ. ი. ლე-
ნინი ახალი ტიპის პარტიის შექმნაზე, თვითმპრო-
ბელობის დამხობაზე, სოციალისტური რევოლუ-
ციის განხორციელებაზე. ახლა ყოველივე ეს რეა-
ლური სინამდვილე იყო. მათ ღრმად სწამდათ, რომ
ასევე განხორციელდებოდა ბელადის ახალი ოც-
ნებაც.

ეს ასეც მოხდა. ახლა ჩვენი ქვეყანა ყოველ-
წლიურად აწარმოებს ასეულ ათასობით ტრაქტორს,
მილიონობით ურთულეს სასოფლო-სამეურნეო მან-
ქანა-იარაღს. ჩვენი სამშობლო მთელს მსოფლიო-
ში უმძლავრეს ინდუსტრიულ სახელმწიფოდ, მო-
წინავე მექანიზირებული და ელექტროფიცირე-
ბული სოფლის მეურნეობის ქვეყნად იქცა. რაც
მთავარია, სოფლის მეურნეობის ტექნიკურ რე-
კონსტრუქციასთან ერთად განხორციელდა მისი
სოციალისტური გარდაქმნა. ეს იყო უდიდესი რე-
ვოლუციური გადატრიალება, რომელმაც უზრუნ-
ველყო სოფლის მეურნეობის მძლავრი აღმავლო-
ბა, კულაკობის კაბალისაგან გლეხობის განთავი-
სუფლება, სოფლად სოციალიზმის გამარჯვება.

მთელ საბჭოთა ქვეყანასთან ერთად, დიდი ოქ-
ტომბრის ორმოცდამეათე წლისათვის განახლებული
და წელგამართული ხვდება საქართველოს სოფელი;
ქართველი გლეხი ოდითგანვე ოცნებობდა მიწაზე,
მაგრამ ეს ოცნება დიდხანს განუხორციელებელი
რჩებოდა. რევოლუციამდე საქართველოში გლე-
ხობა, რომელიც მოსახლეობის უმრავლესობას შე-
ადგენდა, ვარჯის მიწების ერთ მეთედსაც კი არ
ფლობდა. ამავე დროს, მიწათმფლობელობა უკი-
დურესი დაქსაქსულობით ხასიათდებოდა. გლეხურ
მეურნეობათა თითქმის ნახევარს 5-დან 10-მდე მი-
წის ცალკე ნაკვეთი ეჭირა, ხოლო ზოგიერთი მათ-
განი 20-80 მცირე ნაკვეთად იყო დაქუცმაცებული.

საბჭოთა ხელისუფლებამ ქართველ გლეხს, მრავალ
სხვა სიკეთესთან ერთად, მიწაც მოუტანა, ჭერ
კიდევ 1921-1928 წლებში გატარებული აგრარ-
ული რეფორმის შედეგად საქართველოს გლეხო-
ბამ 898 ათას ჰექტარზე მეტი მიწა მიიღო სრულ-
ლიად უსასყიდლოდ. ამავე დროს, მარტო ყოფილი
„დროებით ვალდებული“ გლეხები განთავისუფლდ-
ნენ შემამუღეთა მიწებით სარგებლობისათვის ყო-
ველწლიურად 802 ათასი მანეთის საღალგადასა-
ხადისა და მიწის გამოსასყიდი 284 ათასი ოქროს მან-
ეთის გადასახადისაგან.

რევოლუციამდე საქართველოს სოფლის მე-
ურნეობაში გაბატონებული იყო ხის კავი და თო-
ხი; გლეხურ მეურნეობათა 80 პროცენტს არ ჰქონ-
და სატრანსპორტო ინვენტარი, ხოლო ამ მეურნე-
ობათა თითქმის 40 პროცენტს — გამწვევი ძალა. საბ-
ჭოთა ხელისუფლების პირველ წლებშიც კი საქარ-
თველოს სოფლის მეურნეობის ტექნიკური ბაზა
უადრესად ღარიბი იყო. წვირად, ერთპიროვნულ
გლეხურ მეურნეობათა არსებობა არ იძლეოდა თა-
ნამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ფართ-
ოდ გამოყენების შესაძლებლობას.

საქართველო ცნობილია წყლის მდიდარი რესურ-
სებით, რაც საშუალებას იძლევა სარწყავი სისტე-
მის ფართოდ განვითარებისათვის. მაგრამ ქართველი
გლეხობის უმრავლესობისათვის სარწყავი წყალი
საუკუნეთა განმავლობაში მაინც მიუწვდომელი იყო.
საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე წლებში ვ. ი.
ლენინის მითითებებით ფართოდ გაიშალა მუშაობა
ძველი სარწყავი არხების აღდგენისა და ახალი საირ-
იგაციო სისტემების შექმნისათვის. ჭერ კიდევ
20-იანი წლების დასასრულისათვის არა მარტო
აღდგენილ იქნა სარწყავი ფართობების რევოლუ-
ციამდე დონე, არამედ ახალი მძლავრი საირიგა-
ციო სისტემების მშენებლობაც გაჩაღდა. მაგრამ ამ



უმნიშვნელოვანესი პრობლემის გადაჭრისათვის სა-
ჭირო იყო მთელი გლეხობის გაერთიანება.

საქართველოს ბუნებრივ-კლიმატური პირობები
ტექნიკური და სუბტროპიკული კულტურების ფარ-
თოდ გავრცელების შესაძლებლობას ქმნიან. ეს
კულტურები კი უდიდეს ეკონომიურ ეფექტს იძ-
ლევიან. ჭერ კიდევ 1888 წელს ილია ჭავჭავაძე
წერდა: „...სადაც ჩაი, სორგო, ალისარჩული, აბ-
რეშუმი მოდის, საცა ბამბა ხარობს, საცა ყოველ-
გვარი ხეილია შესაძლებელი, საცა ყურბენი მო-
დის, ღვინო დგება, საცა შესაძლოა გაჩენა თითქ-
მის ყოველგვარი საჭეთო, სამღებრო, საფთაქო
მცენარეებისა, იქ მიწისა და ხელის მოცდენა იმის-
თანა ფასმოკლე ჭირნახულისათვის, როგორც, მაგა-
ლითებრ, პურია, ჩვენი ფიქრით, დიდი შეცდო-
მა... ნუთუ სახეიროა ჩვენი მარჯვენა, მშვენიერი
ბავა და მიწა პურზე მოგადინოთ მაშინ, როდესაც
ჩვენი ქვეყნის ბუნება ნებას გვაძლევს უფრო ძვირ-
ფასი ჭირნახული მოგვიყვანოთ. იმავე შრომით,
გარჯით, იმავე ბავითა და მიწით“. ქართველმა
გლეხმა კარგად იცოდა ეს ჭეშმარიტება, მაგრამ
რევოლუციამდე საქართველოში ტექნიკური და
სუბტროპიკული კულტურების ფართოდ გავრცე-
ლება განუხორციელებელ ოცნებად რჩებოდა. საბ-
ჭოთა ხელისუფლების პირველსავე წლებში სე-
რიოზული ღონისძიებები გატარდა ტექნიკური და
სუბტროპიკული კულტურების განვითარებისათვის.
მაგრამ ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობათა და-
ქუცმაცებულობა აქაც გადაუღალავ ზღვრად აღი-
მართა.

ამრიგად, მიუხედავად აგრარული რეფორმის გა-
ტარებისა და გლეხობისადმი საბჭოთა მთავრობის
ყოველმხრივ დახმარებისა, 20-იანი წლების დასას-
რულისათვის საქართველოს სოფლის მეურნეობა
დიდ სიძნელეებს განიცდიდა. საჭირო იყო სოფლის
მეურნეობის ძირეული გარდაქმნა, დაქუცმაცებულ
ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობათა კოლექტი-
ვიზაცია, რაც, ამავე დროს, მთელი სასოფლო-სამე-
ურნეო წარმოების ტექნიკური რეკონსტრუქციის



აქის ასეთი პაჩვია

საბჭოების სრულიად რუსეთის პირველი პრილოზის
მრეწველიდან 50 წლისთავის გამოს

1917 წლის 16 ივნისს პეტროგრადში გაიხსნა სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების პირველი პრილოზა. ეს ის პერიოდი იყო, როცა საბჭოებში უმრავლესობას მენშევიკებისა და ესერების წარმომადგენლები შეადგენდნენ. პრილოზაზე მენშევიკები იცავდნენ ბუზუუაზისთან შემთანხმებლობის ხაზს; მენშევიკების ლიდერი — ი. წერეთელი ყოველმხრივ ახარებდა კადეტებთან ბლოკის პოლიტიკას. იგი მოითხოვდა, რათა პრილოზის სრულიად ნდობა გამოეცხადებინა კოალიციური მთავრობისათვის; თავის სიტყვაში წერეთელმა განაცხადა, რუსეთში არ არის არც ერთი პოლიტიკური პარტია, რომელიც მარტოდმარტო აიღებდა ხელში მთელ ძალაუფლებას. ამის საპასუხოდ ვ. ი. ლენინმა ადგილიდანვე ხმაშლილი წარმოთქვა: „არის ასეთი პარტია!“ ვ. ი. ლენინმა სიტყვა აიღო და პრილოზის დღეგატებს გააცნო ბოლშევიკური პარტიის პროგრამა. მან გადაჭრით გაილაშქრა მენშევიკ-ესერების წინააღმდეგ, რომლებიც საბჭოებს აიგვიბდნენ ბურჟუაზიულ პარლამენტთან. საბჭოებს ვ. ი. ლენინი ახასიათებდა, როგორც ხალხის მიერ შექმნილ რევოლუციურ ხელისუფლებას და მთავარ საბრძოლო ამოცანად სახავდა, რათა მთელი ძალაუფლება საბჭოების ხელში გადასულიყო. იგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ორი ხელისუფლება ერთიმეორის გვერდით დიდხანს ვერ იარსებებდა.

საბჭოების პირველი პრილოზის ტრიბუნიდან ვ. ი. ლენინმა მკაცრად ამხილა მენშევიკები და ესერები, რომლებმაც ბურჟუაზისთან ბლოკი შეკრეს და კოალიციური მთავრობაში შევიდნენ; ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა პრილოზის დღეგატებზე ლენინის სიტყვამ ომის შესახებ. ლენინი იმპერიალისტურ ომს განიხილავდა, როგორც ბურჟუაზიული პოლიტიკის გაგრძელებას. ომიდან გამოსვლის მთავარ საშუალებად ლენინს მიჩნდა ექსპლოატატორთა ძალაუფლების დამხობა.

საბჭოების პირველ პრილოზაზე ესერებმა და მენშევიკებმა გადაჭრით დაუჭირეს მხარი ბურჟუაზისთან ბლოკის შენარჩუნებას. შემთანხმებლები თავგამოდებით ამტკიცებდნენ, რომ ლოზუნგი „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!“ თითქოს უტოპიას წარმოადგენდა. მათ პრილოზას თავს მოახვედრეს რევოლუცია, რომელიც იწონებდა ბურჟუაზისთან კოალიციას და სრულ ნდობას უცხადებდა დროებით მთავრობას.

ბოლშევიკებმა გადაწყვიტეს ეჩვენებინათ პრილოზისათვის, თუ რამდენად მცდარი იყო შემთანხმებელთა პოზიცია. ბოლშევიკური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოწოდებით მიმართა. პეტროგრადის მუშებსა და ჯარისკაცებს გამოსულიყვნენ 10 ივნისის დემონსტრაციაზე ლოზუნგებით: „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!“, „ძირს ათი მინისტრი-კაპიტალისტი!“, „მუშათა კონტროლი წარმოებაზე“. „ომის გაგრძელების პოლიტიკის წინააღმდეგ!“

ესერებმა და მენშევიკებმა გადაწყვიტეს არ დაეშვათ დემონსტრაცია. საბჭოების პირველმა პრილოზამ, რომელიც მენშევიკებისა და ესერების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, 9 ივლისს მიიღო დადგენილება დემონსტრაციის აკრძალვის შესახებ.

პრილოზის ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ გალაშქრება და დემონსტრაციის ჩატარება შეუძლებელი იყო, რადგან ამას შეეძლო საფრთხეში ჩაეყენებინა რევოლუციური ძალები. ამის გამო, ბოლშევიკური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება დემონსტრაციის გადადების შესახებ.

პრილოზის ხელმძღვანელებმა მიაღწიეს რა 10 ივნისს დანიშნული დემონსტრაციის აკრძალვას, გადაწყვიტეს დემონსტრაცია ჩატარებინათ 18 ივნისს ანტიბოლშევიკური ლოზუნგებით. მაგრამ შემთანხმებლები ანგარიში მოტყუვდნენ.

18 ივნისის დემონსტრაციამ, რომელშიც ნახევარი მილიონი კაცი მონაწილეობდა, ცხადყო, რომ მშრომელი მასების უმრავლესობა მიიღოდა ბოლშევიკური პარტიის მიერ ნაჩვენები გზით. ამ დემონსტრაციამ სავსებით ცხადყო წვრილბურჟუაზიული პარტიების პოლიტიკის გაყოტრება. ამ დღეს აშკარა გახდა, რომ მასების უდიდესი უმრავლესობა არ იზიარებდა დროებითი მთავრობის პოლიტიკას.

ბურჟუაზიამ გადაწყვიტა, ბოლო მოეღო ბოლშევიკური პარტიის გავლენისათვის და შეექმნა „მტკიცე ხელისუფლება“, იგი ეძებდა შესაფერის მომენტს, რათა სისხლში ჩაეხშო რევოლუცია.

ისარგებლა რა საბჭოების პირველი პრილოზის მხარდაჭერით, დროებითა მთავრობამ გასცა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე შეტევის დაწყების განკარგულება. ბურჟუაზია იმედოვნებდა, რომ შეტევიც წარმატებით დასრულებს შემთხვევაში, შეძლებდა მთლიანად აეღო ხელში ძალაუფლება, გაერკა საბჭოები და გაენადგურებინა ბოლშევიკური ორგანიზაციები.

როგორც ცნობილია, ფრონტზე შეტევის დაწყებას მოწონებით შეხვდა საბჭოების პირველი პრილოზის მენშევიკ-ესერული უმრავლესობა, წერეთელმა ამ შეტევას უწოდა „შემობრუნების მომენტი რუსეთის ისტორიაში“.

1917 წლის 22 ივნისს გაზეთ „პრავდაში“ გამოქვეყნდა ვ. ი. ლენინის სტატია „სად მიიყვანეს რევოლუცია ესერებმა და მენშევიკებმა?“ ამ სტატიაში ვითხოვდნენ: „შეტევით გამოწვევებული ახალი ნგრევის სავალალო გამოცდილება გარდუვალად გამოიწვევს ესერებისა და მენშევიკების პარტიების პოლიტიკურ კრახს. პროლეტარული პარტიის ამოცანაა. უწინარეს ყოვლისა, ის არის, რომ დაეხმაროს მასებს შეიგნონ და სწორად დათვალისწინონ ეს გამოცდილება, სწორად მოემზადონ ამ დიდი კრახისათვის, რომელიც მასებს დაანახვებს მათს ნამდვილ ბელადს — ქალაქის ორგანიზებულ პროლეტარიატს“.

დიდი ლენინის ეს წინასწარხედვა სავსებით დადასტურა მოვლენათა შემდგომმა მსვლელობამ. ცნობამ რუსეთის არმიის შეტევისა და შემდეგ მისი მარცხით დასრულების შესახებ, დიდი აღშფოთება გამოიწვია მუშებსა და ჯარისკაცებს შორის. ამ აღშფოთების პირდაპირი შედეგი იყო მშრომელთა მასობრივი დემონსტრაცია, რომელიც 1917 წლის 3 ივლისს დაიწყო.

კიტა მამთარაძე

უსაზღვრო პერსპექტივებსაც ქმნიდა. უამისოდ შეუძლებელი იყო გლენობის მრავალსაუკუნოვან ოცნებათა აღსრულება, მთელი საბჭოთა საზოგადოების მთავარი ამოცანის — სოციალიზმის განხორციელება.

და აი, ბედნიერ მომავალზე ოცნებამ თავისი გაიტანა. ჯერ კიდევ ომამდელ ხუთწლიანობაში დასრულდა საქართველოს მთელი სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა.

საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებამ საქართველოს სოფლის მეურნეობა აღორძინებისა და ყოველმხრივი განვითარების ფართო გზაზე გამოიყვანა.

ახლა საბჭოთა საქართველოს სოფლის მეურნეობა წარმოადგენს უაღრესად მოწინავე, მსხვილ, სოციალისტურ წარმოებას, რომელიც შეიარაღებულია თანამედროვე სოფლის მეურნეობის ადრეულმა მოწინავე ტექნიკით შექმნა შრომის უმძიმეს სახეობათა ფართო მექანიზაციის შესაძლებლობა; 1965 წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მექანიზირებული იყო: მარცვლეული კულტურების (სიმინდის გარდა) ალება — 82 პროცენტით, მარცვლეულის წმენდა — 75 პროცენტით, სასოფლო-სამეურნეო კულტურების ალება — 57

პროცენტით და ა. შ. ახლა უკვე პრაქტიკულ ნიადაგზე დგას ყველა ძირითად სასოფლო-სამეურნეო საშუალოთა მთლიანი და კომპლექსური მექანიზაცია.

დიდი წარმატებები მოპოვებული სოფლის მეურნეობის მალაკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის დარგში. 1965 წლის 15 ნოემბრისათვის რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მუშაობდა 18.517 სპეციალისტი, მათ შორის 5.474 უმაღლესი განათლების მქონე ინჟინერი, აგრონომი და ზოოტექნიკოსი.

საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებამ, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მექანიზაციამ და მალაკვალიფიციური კადრებით მორეზებამ, მორწყვისა და მოწინავე აგროტექნიკის ფართოდ დანერგვამ უზრუნველყო საქართველოს სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია და განუზრდილი აღმავლობა. საქმარისია ითქვას, რომ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია, რევოლუციამდელ პერიოდთან შედარებით, თითქმის მ-ჯერ გაიზარდა. რაც მთავარია, პროდუქციის ასეთი მკვეთრი ზრდა მიღებულია არა სათესი ფართობების ზრდის ხარჯზე, არამედ, უმთავრესად, მოსავლიანობის გადიდების შედეგად. საქართველოში საკოლმეურნეო წყობილებისა და,

საერთოდ, სოციალიზმის ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვარია ტექნიკური და სუბტროპიკული კულტურების ფართოდ დანერგვა. მარტო ჩაის პლანტაციების ფართობი, რევოლუციამდელ პერიოდთან შედარებით, თითქმის 70-ჯერ გაიზარდა, ხოლო ჩაის მწვანე ფოთლის მოსავალი — თითქმის 340-ჯერ. ახლა საქართველოს ჩაის მეურნეობას მთელს მსოფლიოში მოწინავე ადგილი უჭირავს. აქ მიღწეულია ჩაის ფოთლის მოსავლიანობის ყველაზე უფრო მაღალი დონე, მიღებულია ჩაის პირველი გაუმჯობესებული სასემეციო ჯიშები. მსოფლიოში პირველად საქართველოში შეიქმნა ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო“. რომელმაც 1966 წლის საერთაშორისო გამოგონაზე ოქროს მედალი დაიმსახურა, ხოლო მისმა შემქმნელებმა მიმდინარე წელს ლენინური პრემია მიიღეს.

საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვების შემდეგ მიღწეულ წარმატებათა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. აღნიშნულიც საქმარისია იმის დასადასტურებლად, თუ როგორ შეისხა ფრთა ქართველი გლეხის მრავალმა ოცნებამ. ის, რაც ადამიანს ორმოცდაათი წლის წინ ფანტაზიად ეჩვენებოდა, ახლა ცოცხალი და რეალური სინამდვილეა, ხოლო დღევანდელი ოცნება ხვალ სინამდვილედ იქცევა. ასეთია ჩვენი განვითარების დიალექტიკა.

აკაკი შანიძე

ივანე ჯავახიშვილი



დიდ ქართველ მეცნიერს, აკადემიკოს აკაკი შანიძეს დაბადების 80 წლისთავი შეუსრულდა. აქედან 55 წელიწადი მეცნიერმა მოახმარა ქართული ენისა და ლიტერატურის შესწავლას. მისი ფუძემდებლური შრომა „ქართული გრამატიკის ხაფუძელები“ ვაცხდა ეროვნულ ფარგლებს და მსოფლიოს მეცნიერთა აღიარება მპოვა. ქართველი მეცნიერებისათვის კი მისი გრამატიკის სახელმძღვანელოები სამაგიდო წიგნები გახდა. ასევე ფასდაუდებელია მეცნიერის შრომები „ვეფხისტყაოსნის საკითხები“, „ქართული ხალხური პოეზია“ და მრავალი სხვა. აკაკი შანიძემ უაღრესად დიდი ამაგი დახდა ქართველურ ენათა შესწავლის საქმეს.

ღვაწდომოსილი მეცნიერი დღესაც ახალგაზრდული ენერჯით განაგრძობს დიდ მეცნიერულ და საზოგადო მოღვაწეობას.

აკაკი შანიძე არის ჩვენი ყველაზე ძვირფასი საგანძურის — ქართული ენის სწორუბოვარი მკვლევარი და მოსარჩევი.

აკაკი შანიძის ესოდენ დიდი ღვაწლი ქართული მეცნიერების განვითარებისა და ახალგაზრდა კადრების აღზრდის წინაშე დიდად დაფასა ხაბტოთა მთავრობამ და მსოფლიო მეცნიერი ლენინის მეორე ორდენით დააჯილდოვა.

დიდი ხანია ქართველი ერის მოწინავე შეილები ოცნებობდნენ უმბაღლესი სკოლის დაარსებას თბილისში, მაგრამ ამის განხორციელება წილად ჰხდა ივანე ჯავახიშვილს (1876-1940), იმ დიდ ივანეს; რომელიც დიდი ილიას საქმის გამგებობი იყო და საქართველოს მამა და მეთაური.

შემთხვევითი როდია, რომ სწორედ ივანე ჯავახიშვილმა იყისრა უნივერსიტეტის დაარსების საქმე. იგი იმ მეცნიერთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომლებიც თავის ცოდნას და გამოცდილებას ხალხის სამსახურში იყენებენ, ხალხისათვის ზრუნავენ. ი. ჯავახიშვილი სპეციალობით ისტორიკოსი იყო, იკვლევდა საქართველოს წარსულს, მაგრამ ერთი წუთითაც არ ავიწყებდებოდა მისი აწმყო და ზრუნვა მომავლისათვის. იგი არ იყო კაბინეტში კარ-ჩაკეტული მეცნიერი, არამედ თავის ცოდნას უზიარებდა ხალხს საჯარო ლექციების საშუალებით. როგორც კი მოიცილიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის სამსახურიდან, გამოემშრებოდა საქართველოში და აქ საჯარო ლექციებს მართავდა თბილისში თუ სხვაგან.

ივანე ჯავახიშვილი პირველად მე ქუთაისში ენახე, როცა გიმნაზიელი ვიყავი. 1907 წელს ის ჩამო-

ვიდა ქუთაისში და ქალაქის საბჭოს დარბაზში ლექცია წაიკითხა ძველი საქართველოს სოციალური წყობილების შესახებ. ლექციის შემდეგ მე და დავით ყიფშიძე (ჩემი ამხანაგი, იოსების ძმა) მივედით და რამდენიმე კითხვა მივეცით. მანაც თავაზიანად გვიპასუხა. არ ვიცი, შეიძლება მისი ლექცია იყო იმის მიზეზი, რომ მე გიმნაზიის გათავების შემდეგ პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე შესვლა განვიზრახე.

პეტერბურგში ჩასვლა (1909 წლის სექტემბერში) ერთი კვირით დამიგვიანდა. მეცადინეობა უნივერსიტეტში უკვე დაწყებული იყო და ინტენსიური მუშაობა დამპირდა, რომ ამხანაგებს დაწვეოდი არაბულში, რომელსაც პრივატ-დოცენტი ა. შმიდტი გვიკითხავდა. ნიკო მარი და ივანე ჯავახიშვილი უკვე შესდგომოდნენ ლექციებს.

უნივერსიტეტში ი. ჯავახიშვილის ლექციები მრავალ ქართველ სტუდენტს იზიდავდა სხვადასხვა ფაკულტეტებიდან. თუ შედგენილობა ქართული იყო, ის ქართულად გვიკითხავდა ლექციებს. თუ არა და — რუსულად.

ერთხელ ლექცია ქართულად დაიწყო, რადგანაც ყველას ქართული ესმოდა. ცოტა ხნის შემდეგ შემოაღო კარი ფრთხილ სტუდენტმა, რომელიც მას სომეხი ეგონა და რუსულზე გადავიდა. შემდეგ უთხრეს, რომ ნავგაიანევი შემოსულიც ქართველი იყო.

ქართულად ლექციების კითხვა საიმპერატორო უნივერსიტეტში იმ ხანებში დიდად სახიფათო იყო. 1905 წლის რევოლუციის დამარცხებულა იყო და თვითმპყრობელობა ზეიმობდა თავის გამარჯვებას, რომლის ზენიტი იყო რომანოვთა სახლის 300 წლიანი თბილედ 1913 წელს, მაგრამ ი. ჯავახიშვილი ამ ხიფათს არ ერიდებოდა; იგი შეგნებულად მოქმედებდა და ცდილობდა, მაგალითი ეჩვენებინა, რომ სამეცნიერო სჯაბასი და ყოველგვარი კვლევა-ძიება ქართულ ენაზედაც არის შესაძლებელი, იმ ენაზე, რომელიც იმ დროს ათავალწუნებელი იყო ბევრი ქართველის მიერაც.


მე რომ პირველად, 1909 წელს ჩავიდი პეტერბურგში, იქ აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე დაძნებდა ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრე, რომელსაც ხელმძღვანელობას ი. ჯავახიშვილი უწევდა, ხოლო წრის თავმჯდომარედ III კურსის სტუდენტი ი. ყიფშიძე იყო. ი. ყიფშიძემ უნივერსიტეტი ორი წლით ჩემზე ადრე დაამთავრა, 1911 წელს, და შემდეგ წრის თავმჯდომარედ, 1913 წლის ზაფხულამდე მე ვიყავი. ხელმძღვანელის დამახული მიზ-

ნის თანხმად, ამ წრემ კარგი საქმეები გააკეთა. ერთი მათგანი იყო ქართული ბიბლიოგრაფიის შედგენა. ქართული ეურნალ-გაზეთებიდან ამოკრიბეთ სხვადასხვა მასალა და ი. ყიფშიძემ მოამზადა და დასაბეჭდა. „ქართული ბიბლიოგრაფიის“ ფართოდ იყო განზრახული. მისი პირველი წიგნი, ნიკო მარის წარდგენით, გამოსცა რუსეთის მეცნიერებთა აკადემიამ 1916 წელს. წიგნი შეიცავს ბიბლიოგრაფიულ ცნობებს ქართულ პერიოდულ გამოცემებში 1852-1910 წლებში მოთავსებული წერილებისა და მასალების შესახებ სხვადასხვა სამეცნიერო დარგში (ენათმეცნიერება, ეთნოგრაფია, გეოგრაფია, არქეოლოგია, ისტორია, ხალხური სიტყვიერება და ძველი მწერლობა). აღნუსხულია სულ 2.462 წერილი. წიგნი ახლავს ი. ყიფშიძის წინასიტყვაობა და საძიებლები. პირველი წიგნს უნდა მოჰყოლოდა შემდეგი წიგნებიც სხვა დარგებიდან (სოფლის მეურნეობა, ბუნებისმეტყველება, მწერლობა და სხვ.), მაგრამ მალე რევოლუციამ იფეთქა და იქაურმა ქართველებმა სამშობლოს მოაშურეს.

ამაზე ერთი წლით ადრე, 1915 წელს, თბილისში დაიბეჭდა „კრებული ივანე ჯავახიშვილის რედაქციით“. შიგ მოთავსებულია შვიდი მოხსენება, რომლებიც წაკითხულ იქნა სხვადასხვა დროს ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრეში: 1. შოთა და დიმიტრი — „ქართველი ქალები ისტორიული წყაროებისა და ვეფხისტყაოსნის მიხედვით“; 2. იოსებ ანთაძე — „ყმების მფლობელობის ხასიათი საქართველოში მე-18 საუკუნეში“; 3. დავით კაკაბაძე — „ქართული სატყეოს მოქედლობის სახეები“ (ახლავს 5 ტაბულა); 4. გიორგი თარხნიშვილი — „სასამართლოს წარმოება საქართველოში ვასტანგ VI-ს კანონების წიგნის მიხედვით“; 5. იოსებ ანთაძე — „წყლის მფლობელობა და საარწყუი წყალი საქართველოში ძველი საბუთებისა და კანონების მიხედვით“; 6. გიორგი ჭუბაბრია — „მოქალაქეობრივი პანგები ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებებში“; 7. ა. შანიძე — „ქართული ცილოები მთაში“.

კრებულს უძღვის მისი რედაქტორის ი. ჯავახიშვილის წინასიტყვაობა, სადაც აღნიშნულია, რომ ქართული სამეცნიერო წრის არსებობის ისტორია 1908 წლის თებერვლიდან იწყება. შიგ, სხვათა შორის, იკითხება: „ამ სამეცნიერო წრის უმთავრესი მიზანი იყო და ახლაც არის, რომ მისი წევრები საქართველოს წარსულსა და აწმყოს მეცნიერულ შესწავლას თითონაც შესჩვეოდნენ და, შედეგებისდაგვარად, ისეთი საქმის განხორციელება ეცისრაით, რომელიც ქართულ ფართო საზოგადოებრს-

თვისაც მნიშვნელობა ექნება და სარგებლობას მოუტანდა. შემდეგ რედაქტორი აღნიშნავდა, რომ იბეჭდება წრის მიერ შედგენილი ბიბლიოგრაფია, ხოლო „კრებულში“ დაბეჭდილ მოხსენებთა შესახებ ამბობდა: „რაც მრავალი დიდმნიშვნელოვანი საკითხი საქართველოს წარსულისა და აწმყოს შესახებ გამოკვეთული არ არის, დიდ და ფართო თემების არჩევა მოხსენებისათვის წრის წევრებს, ვენების მეტს, სარგებლობას არას მოუტანდა. ამის გამო პატარა, ვიწროდ შემოფარგლული კვლევა-ძიებანი და მონოგრაფიები საუკეთესო საშუალებად უნდა იყოს ცნობილი და ახალგაზრდა მკვლევარნიც ამ გზით უფრო ადვილად შეეჩვევიან სამეცნიერო მუშაობის ფაქიზსა და მკაცრ მეთოდებს“. უკანასკნელ, იგი აღფრთოვანებული წერდა: „გული სიხარულით მეგვსება, როდესაც ვრწმუნდები, რომ ქართული სამეცნიერო წრის მუშაობამ არამც თუ ამოდ არ ჩაიარა, არამედ თავისი ნაყოფიც გამოიღო და იმედი მაქვს, რომ ამ პირველი კრებულის თანამშრომელთა უმეტესი ნაწილი, თუ ყველანი არა, მომავალშიაც სამეცნიერო მუშაობას თავს არ დანებებს და შეძლებისდაგვარად ქართულ ღარიბ სამეცნიერო მწერლობის გამდიდრებას ხელს შეუწყობს“.



სულ სხვადასხვა ხასიათისა (შორეული აღმოსავლეთის, შუა აღმოსავლეთისა და ახლო აღმოსავლეთის სამეცნიერო დარგებიდან). ერთხელ რუდნემა მიიხმომე მე, როგორც ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის თავმჯდომარე, და მკითხა: რა იქნება, რომ თქვენი და ჩვენი სამეცნიერო წრეები გავაერთიანოთ? მნელი არ იყო მიგხევედრილიყავ, თუ რა შედეგი მოჰყვებოდა ასეთ გაერთიანებას. მოხსენებთა კითხვა ქართულად აღარ იქნებოდა და ეს ხელს შეუშლიდა სამეცნიერო კადრების მომზადებას ეროვნული საქმისათვის. ამიტომ მე შორის დევუტირე და გაერთიანებას თავი ავარიდე.

ძველ უნივერსიტეტში არსებობდა ორი სამეცნიერო ხარისხი: მაგისტრისა და დოქტორისა. მაგისტრობას უსწრებდა ზეპირი გამოცდები, მაგისტრანტისა, რომლის შემდეგ, თუ მოისურვებდნენ, მაგისტრანტი შეეძლოთ მიეწვიათ ლექციების წასაკითხად. ი. ჯავახიშვილს მოაოგებული ჰქონდა მაგისტრის ხარისხი დისერტაციის დაცვით იმ ნაშრომისათვის, რომელიც მან 1905 წელს დაბეჭდა ამ სათაურით: «Государственный строй древней Грузии и древней Армении», т. I; ხოლო დოქტორის ხარისხი არ ჰქონდა, როგორც არა ჰქონდა ბევრ სხვას, რომლებიც ლექციებს კითხულობდნენ უნივერსიტეტში (მაგ. აკადემიკოსს პავლე კოკოცოვს, არაბისტს ა. შმიდტს და სხვებს).

დოქტორობის საკითხი ივანე ჯავახიშვილს ოდნავად არ აწუხებდა. ისე როგორც ოდესაში მოღვაწე დიდ ქართველ პატრიოტს პროფ. ვასილ პეტრიანიშვილს, რომელმაც იმდროინდელ პირობებში დიდ-ტანიანი სამეცნიერო წიგნები დაბეჭდა ქართულად („ღვინის დაყენება“, თბილისი, 1895, „ვაზი, მისი მოშენება და მოვლა“, ქუთ. 1896, „რძე და მისი სხვადასხვაგვარად გამოყენება“, თბილისი, 1898), ი. ჯავახიშვილს ის აღონებდა, რომ ქართულ ენაზე არ იყო, ან ცოტა იყო სამეცნიერო ლიტერატურა და ყოველგვარად ცდილობდა, რომ ასეთი ლიტერატურა უთუოდ შექმნილიყო. მაგალითი თვითონ უჩვენა სხვებს. 1908 წელს მან თბილისში დაბეჭდა „ქართველი ერის ისტორიის“ I ტომი, რომელიც მეორედ გამოიცა 1913 წელს; 1916 წელს კი თბილისშივე გამოვიდა მისი „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წიხით და ახლა“. მანსოვს, ნ. მარშია მითხრა, ეს „ისტორიის მიზანი“ რომ რუსულად გამოეცა ავტორს, დოქტორის სამეცნიერო ხარისხს მოიპოვებდა.

მაგრამ ივანე ჯავახიშვილი იწვოდა სამშობლოს სიყვარულით, მას ამ სამშობლოს ბედნიერი მომავალი ასულდგმულებდა და ძალას არა ზოგავდა, რომ თავისი წვლილი შეეტანა ჩვენი ხალხის კულტურული აღორძინების საქმეში. როგორც მისი წინამორბედი დიდი ილია, იგიც მუდამ ცდილობდა,

აკად. აკაკი შანიძე, პროფ. სერგო ჭორბენაძე და პ. ფოქტი, ოსლოს უნივერსიტეტის რექტორი, თბილისის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი.

რომ საქართველო, XIX საუკუნეში პოლიტიკურად არარაობად ქცეული, ეროვნულად დაჩაგრული და ეკონომიურად დაბეჩავებული, ძველ წელში გასწორებულიყო და ჩამდგარიყო მოწინავე ერების რიგებში. ერთი საშუალება ამ მიზნის მისაღწევად უმაღლესი სასწავლებლის დაარსება იყო, რომლის შესაძლებლობა პირველი მსოფლიო ომის პროცესში თანდათან აშკარად დიასახა. ი. ჯავახიშვილი გულის ფანცქალით თვალყურს ადევნებდა ყველაფერს, რაც ხდებოდა ფრონტზე და როგორ იცვლებოდა ამასთან დაკავშირებით პოლიტიკური სიტუაცია.

ნიკოლოზის ტახტიდან ჩამოგდება 1917 წლის თებერვალში დასაწყისი იყო იმ დიდი საზოგადოებრივი მოძრაობისა, რომელიც ოქტომბრის რევოლუციით დაგვირგვინდა იმავე წელს.

რევოლუციის ივანე ჯავახიშვილი დიდი კმაყოფილებით შეხვდა. მისთვის ნათლად დიასახა ახალი ხანის დადგომა და დიდი გარდაქმნები.

ერთხელ, თებერვლის რევოლუციის რამდენიმე დღის შემდეგ, ივანე ჯავახიშვილმა მითხრა: გავიდეთ ქალაქში და ვნახოთ, რა ხდება. გავედით. მეფე უკვე აღარ იყო ტახტზე და რევოლუციის ტალღები თანდათან ძლიერდებოდა. მივდივართ ქუჩაზე და ვხედავთ: ერთ კაცს მოუყუდებია კიბე მალაზიაზე და შესდგომია აბრის წარწერის შლას. წაშლა ქვეიდან დაეწყო. უკვე წაეშალა ბოლო ნაწილი: ...аторского Величества და დარჩენილიყო დასაწყისი: Поставщик двора Его Импе... ეს რომ ვნახეთ, მე მივმართე ივანე ჯავახიშვილს: ნეტა მხატვარი ვიყო, ან ფოტოგრაფი მაინც, რომ ეს მომენტი ავსახო ტილოზე, ან ფოტო-სურათზე-შეთქი! თანხმობის ნიშნად მან გაიღიმა.

გავედით ნების პროსპექტზე და აფუყვეით ზევითკენ. პეტროგრადში გაზეთები არ გამოდიოდა, გარდა დღევანდელი „იზვესტიას“ წინამორბედისა: Известия рабочих и солдатских депутатов, რომელიც ძნელი სამოვარი იყო და ხელიდან სტაცებდნენ ერთმანეთს; ახალ-ახალ ამბებს უმეტესად მოსკოვიდან მოსული გაზეთების საშუალებით ვიგებდით. ერთ ადგილას შეგვფეხებულიყო ხალხი და ყველა ცდილობდა მოსკოვიდან მოსული გაზეთი ეყიდა და ახალი ამბები გაეგო. ფონტანკასთან რომ მივედით, ვავიხედეთ, მეფის საგვარეულო ღერებში, ხისგან გაკეთებული და შეღებილი, მოეხსნათ სავაჭრო დაწესებულებათაგან, ჩაეგდოთ მდინარეში, რომელიც ყინულით იყო დაფარული,



ა. შანიძე.
ფოტო თ. არჩვაძისა.

ამავე წრემ 1912 წელს მოაწყო ანექტა ქართველ სტუდენტთა შორის რუსეთში და საზღვარგარეთ. ანექტის მიზანი იყო, გამოარკვეულიყო ქართველ სტუდენტთა რაოდენობა, მათი განაწილება სპეციალობის მიხედვით, ქონებრივი მდგომარეობა და სხვ. მართლაც, დაირიგებული და დაგზავნილი ანექტები დაუბრუნდა წერს შესვებული სახით და გამოირკვა, რომ ქართველი სტუდენტობა ეწაფებოდა მეცნიერებას სხვადასხვა დარგში და რომ ქართული უნივერსიტეტის არსებობა ამ მხრივ უზრუნველყოფილი იყო. რაც შეეხება პროფესორებს, ი. ჯავახიშვილს შედგენილი ჰქონდა სია იმ მეცნიერებისა, რომლებიც სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში იყვნენ გაფანტული (პროფესორები, დოცენტები, ასისტენტები და სხვ.). მას იმედი ჰქონდა, რომ ეს მეცნიერები, საჭიროების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ შემოეკრებოდნენ თბილისში, რაც კიდევაც ვამართლდა შემდეგ.

აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე არსებობდა კიდევ მეორე სამეცნიერო წრე, რომლის ხელმძღვანელი იყო პრივატ-დოცენტი ა. რუდნევი (მონოლისტი). იმ წრეში იკითხებოდა მოხსენებანი

გაქცეული ოსტატი ესუაჯა



რედაქციას მუდამ დიდძალი ხალხი აწვდებდა. მოდიან და მოაქვთ ლექსები, მოთხრობები, ნარკვევები, ფოტოსურათები, მოგონებები, ნახატები, ყველა უანრისა და ხახის ნაწარმოები,

სადაც შეიძლება ადამიანთა თავისი ფიქრი, თავისი ოცნება აღბეჭდოს.

ჩვენი ზმირი სტუმრები არიან ოსტატები, რომლებიც სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგებში სცდიან ძაღლონეს, ასეთ ნამუშევრებს ჩვენ იქვე, ერთად ვსინჯავთ, და თუ სარედაქციო კოლექტივში ყველას მოეწონა, შემდეგ ურუნაღში ვაქვეყნებთ, რათა ჩვენს მკითხველებს გავაცნოთ.

ასე იყო იმ დღესაც, როდესაც რედაქციაში არსენ ფოჩხუა მოვიდა. პირველად მან თავისი ყველაზე ბოლოდროინდელი ნამუშევარი, დეკორატიული თაბახი მოიტანა, რომლისათვისაც „რვაასი წელი“ უწოდებია და რუსთაველის იუბილეისათვის მიუძღვნია (სურათი მარჯვნივ).

თაბახი ბზის მასალაზეა შესრულებული. ბზა, როგორც ცნობილია, მეტად მაგარი, ფიცხი და ძნელად დასამუშავებელი ფაქტურაა. ოსტატის ხელმა მაინც თავისი გაიტანა — ყველა შტრიხი, ყველა დეტალი ხაოცარი სიფაქრით არის შესრულებული. ამ ნაწარმოებში, რომელსაც ავტორმა ორი წელი მოაწოდო, ჩანს მისი დამოუკიდებელი მხატვრული აზროვნება, რომელიც ხალხური ხელოვნების ტრადიციებს ეყრდნობა და ხეზე კვეთილობას ახალი ელემენტებით ამდიდრებს.

ბზის მასალაზეა შესრულებული „პოეზია“ (სურათი მარჯვნივ). ამ ნამუშევარში, თლილ თითებსა თუ დაბლა დახრილ ნუშიბებურ თვალბში, იგრძნობა კდემამოსილება და ნაწი პოეტური სული.

არსენ ფოჩხუა მუშაობს არა მარტო ხეზე, არამედ სადაფზეც. ამ მასალისაგან შესრულებული გულისქინძისთავები, აუთრული მონოგრამები, სხვადასხვა მინიატურები ზმირად მეტად მცირე ზომისაა და მათი სიდიდე ორ-სამ სანტიმეტრს არ აღემატება. ასეთი მინიატურული მოცულობის მიუხედავად, არსენ ფოჩხუა ახერხებს ოსტატურად გამოკვეთოს საჭირო ფორმები, გაცოცხლოს ორნამენტი, დაიცვას ხაზის სიზუსტე და პარამონიულობა.

არსენ ფოჩხუას ნამუშევრებმა თავიდანვე მიიპყრო სახალხო მხატვარულად გუდიაშვილის ყურადღება. ჩვენი სახელოვანი დიდოსტატი ჩვეული გულიყურით მოვიკვდა ახალგაზრდა შემოქმედს, რომელიც სპეციალური გა-



ნათლების გარეშე, მხოლოდ თავისი ხალხის ნიჭის მეოხებით იკვლევდა გზას. ლაღო გუდიაშვილის მეგობრულმა რჩევა-დარიგებამ და მითითებებმა სწორი გზა მისცა არსენ ფოჩხუას შემოქმედებას.

საინტერესოა ის ამბავიც, რომ არსენ ფოჩხუა განათლებითა და პროფესიით მუსიკოსია; იგი სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის სიმებიან ჯგუფში უკრავს ალტზე; ამასთან, პედაგოგიურ მუშაობასაც ეწევა, თბილისის მეცხრე მუსიკალურ სკოლასა და პირველ მუსიკალურ სასწავლებელში ბავშვებს ვიოლინოზე დაკვრას ასწავლის.

და ცეცხლი წაეკიდებინათ. საღებავიან ხმელ ხის მასალას ცეცხლი კარგად ეკიდებოდა, კვამლი ამოდიოდა და ქარი ქუჩაში ფანტავდა. ჩვენც ამ კვამლში მოგვხვდით, რომელსაც სუნი უდიოდა. ივანე ჯავახიშვილმა იხუმრა: უპ, რა მყარალი ყოფილა ეს თვითმპყრობელობა!

ი. ჯავახიშვილმა მარტში თავის ბინაზე თათბირი მოაწყო ვიწრო სამეცნიერო წრეში ქართული უმაღლესი სასწავლებლის დაარსების საკითხის განსახილველად. სხდომაზე მან იმედი გამოთქვა, რომ არის იმის უტყუარი ნიშნები, რომ დაჩაგრულ ეროვნებათა განთავისუფლება მოახლოვებულია და ქართული უმაღლესი სასწავლებლის დაარსებაც მოგვარდება. მაღლ მან პეტერბურგი დატოვა და თბილისის დაბრუნდა, სადაც ენერგიულად შეუდგა უნივერსიტეტის დაარსების სამუშაოს.

მე აქ არ გამოვუდგები იმის მოთხრობას, თუ როგორ მიდიოდა საქმეები, რა დაბრკოლება გველობებოდა წინ და რა გვაფრთხილებდა. ვიტყვი მხოლოდ, რომ დიდი ოქტომბრის შემდეგ საეკლესიო აშკარა შეიქმნა, რომ ქართული უნივერსიტეტის დაარსებას ვერავინ შეაფერხებდა და რომ ივანე ჯავახიშვილი თავისი დასახულ მიზნებს უეჭველად განახორციელებდა.

სამზადისი 1917 წლის დამლევისათვის, ასე თუ ისე, დასრულდა, ჩამოსულ მეცნიერთა ერთმა ჯგუფმა თავი მოიყარა თბილისში, შეუერთდა აქ მყოფ მეცნიერ მუშაკებს (ე. თაყაიშვილს, კ. კეკელიძეს და სხვ.) და უკვე დადგა საკითხი უნივერსიტეტის დაარსების პრაქტიკულად განხორციელებისა. გახსნის დღედ 1918 წლის 26 იანვარი იქნა დაინიშნული (ძველი სტილით). 13 იანვარს ქართული გიმნაზიის შენობაში, რომელიც დღეს უნივერსიტეტის პირველ კორპუსად ითვლება, შეიკრიბა უნივერსიტეტის დამაარსებელთა ჯგუფი პირველ

ოფიციალურ სხდომაზე. საკითხი დაისვა, თუ ვინ უნდა აგვეჩრია უნივერსიტეტის რექტორად. ყველაზე სწორი ნათელი იყო, რომ უნივერსიტეტის რექტორად უნდა ყოფილიყო ის მეცნიერი, რომელმაც ნიადაგი მოუზიდა მის დაარსებას, რომელიც ფაქტურად ხელმძღვანელი იყო საუნივერსიტეტო საქმისა ჩვენში. მაგრამ მოსდა დაუჭერებელი ამბავი: როცა ივანე ჯავახიშვილს შესთავაზეს რექტორობა, მან კატეგორიული უარი განაცხადა და მისივე წინადადებით რექტორად ავირჩიეთ ოდესის დამსახურებული პროფესორი ქიმიკოსი პეტრე მელიქიშვილი, კარგად ცნობილი მეცნიერი, მეტად პატიოსანი, ფაქიზი და უანგარო ადამიანი, ვასილ პეტრიაშვილის მეგობარი. ამ შემთხვევაში ი. ჯავახიშვილს ამოქმედებდა უნივერსიტეტის ბედი; მისი აზრით, საკითხის ამგვარი გადაწყვეტა უფრო შეუწყობდა ხელს ახალი უნივერსიტეტის პრესტიჟის განმტკიცებას და მისი განვითარების საქმეს უფრო მკვიდრ ნიადაგზე დააფუძნებდა. ამ ამბავმა ყველა დაარწმუნა, თუ რაოდენ დიდი იყო ივანე ჯავახიშვილი, როგორც ადამიანი და მამულიშვილი, რომელიც ზრუნავდა არა სახელის მოსახვეჭად, არამედ უნივერსიტეტის საქმისათვის, ეროვნული საქმისათვის, ერის სამსახურისათვის.

კარგად ცნობილია, რომ ივანე ჯავახიშვილი ფართო გაქანებისა და ღრმად მოაზროვნე მეცნიერი იყო. მას ეკუთვნის საქვეყნოდ განთქმული, ეპოქალური ხასიათის ნაშრომები სხვადასხვა დარგში: ქართული ერის ისტორია (5 ტომად), ქართული სამართლის ისტორია (2 ტომად), საქართველოს ეკონომიური ისტორია (2 ტომად), ქართული პალეოგრაფია, ქართული ნუმიზმატიკა და მეტროლოგია, ქართული სიგელთ-მცოდნეობა (დიპლომატიკა), მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის (რამდენიმე წიგნად), ძვე-

ლი სომხური საისტორიო მწერლობა, ქართული მუსიკის საკითხები და სხვა, და სხვა.

მაგრამ ყველაზე დიდი საქმე, რომელიც მან გააკეთა, ეს არის სამეცნიერო ტაძრის — უნივერსიტეტის დაარსება, რითაც მკვიდრი საფუძველი ჩაუყარა ქართული მეცნიერების აღორძინების საქმეს.

ივანე ჯავახიშვილი წარმოშობით არისტოკრატთაგან იყო, ძველი თავადი, მაგრამ, ამასთანავე, ერთობ თავმდაბალი და დიდი დემოკრატი. ყველას შეეძლო ადვილად ენახა იგი და თავისი აზრი გაეზიარებინა ან ეკითხა რამე. ისიც ყველას გულდასმით მოუსმენდა ხოლმე და თუ საჭირო იყო, დარიგებასა და რჩევას მისცემდა, დახმარებასაც აღმოუქმენდა.

ივანე ჯავახიშვილი ფიზიკურად სუსტი აგებულებიდან იყო, მაგრამ ძლიერი სულის პატრონი, გამჭრიახი გონებისა, გაუტეხელი ბუნებისა და დაუშრეტელი ენერჯის მქონე, თაოსანი და მათრგანინიზებული ნიჭისა და ძალის მქონე, ამასთანავე, სპეტაკი და უანგარო. ამიტომ იყო, რომ მის ავტორიტეტს უყუყუებანოდ ემორჩილებოდნენ ყველანი, რადგანაც მის მოქმედებაში გამოირიცხული იყო ყოველგვარი პირადი რამ. იგი იყო დიდი ადამიანი და ამასთან დიდი მეცნიერი, რომელიც საზოგადოებისათვის იყო დაბადებული და აღზრდილი და საზოგადოების თვალწინ, მრავალრიცხოვან აუდიტორიაში დალია სული სამეცნიერო მოხსენების კითხვის დროს, ოცდა შვიდი წლის წინათ. მისი მგზნებარე გულის ცემა შეწყდა 1940 წლის 18 ნოემბერს, საღამოს 9 საათსა და 40 წუთზე, რითაც იქ მყოფთ ყველას თავზარი დასცა.

დიდი ივანეს სახელი, ამ დიდი ქართველის სახელი მარად მოსაგონარია და სიყვარულით ტკბილად მოსაგონარია ეჭნება მის მშობელ ერს.



ჩოხატაურის რაიონის ამ სოფელს ოდესღაც ჯვარცმა ერქვა, ალბათ ჯვარცმულის პატივსაცემად. ახლა ღრმად მოხუცებს-ლა თუ ახსოვთ ეს სახელი; ახლა ადამიანები თვითონ განაგებენ თავიანთ ბედს და ჯვარცმულის იმედით კი არა, თავიანთი მარჯვენის იმედით ცხოვრობენ; მათ თავიანთ სოფელსაც გამოუცვალეს სახელი — ჩაისუბანი უწოდეს.

მართლაც, განთქმულია აჭარის ჩაის პლანტაციები, საქვეყნოდ არიან ცნობილი ადამიანები, ვინც ამ პლანტაციებს უვლიან, ვინც დღედაღამ იმაზე ფიქრობენ თუ როგორ ასახელონ მარტო თავისი სოფელი კი არა, მთელი ჩვენი რესპუბლიკა, მთელი ჩვენი საშობლო.


მათ რიცხვს ეკუთვნის ლამარა ჩხიკვაძე (სურათი 1).

თავმდაბალი, სათნო ქალია ლამარა. დედ-მამა ადრე გარდაეცვალა. ობლად დარჩენილ ბავშვს სოფელმა მოუარა, ზრუნვა არ მოაკლო, ასწავლა, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაში დაამთავრებინა. ლამარაც ათმაგად უხდის თანასოფლელებს ამ დიდ ამბავს; მარტო შარშან ამ ქალის ხელებმა 7,5 ტონა მწვანე ფოთოლი მოკრიფეს. ამას წინათ ლამარა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს.

მარტო ლამარა ჩხიკვაძე როდია ასეთი ჩაისუბანში. აქ ყველა შრომობს ან სწავლობს, დიდი თუ პატარა, მოხუცი თუ ახალგაზრდა.

კოლმეურნეობას სათავეში უდგას ოქრობირ შარაშენიძე (სურათი 2, მარჯვნიდან პირველი). ოქრობირი აჭარია, აქვე მიიღო საშუალო განათლება, შემდეგ სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი დაამთავრა და თავის სოფელში აგროტექნიკოსად დაიწყო მუშაობა. ომმა ხუთი წლით მოწყვიტა იგი საუვარელ საქმეს. ომის შემდეგ თავი

1



2





ჩაისუბნელახი

ნასოფლელებმა კომმუნურების თავმჯდომარედ აირჩიეს.

ჩაისუბნელთა პლანტაციები ას სამოცდაორ ჰექტარზეა გადაჭიმული, აქედან მოსავლიანი ას ოცზე მეტი ჰექტარია. შარშან ჩაისუბნელებს გეგმით ხუთას ოცი ტონა მწვანე ფოთოლი უნდა მოეკრიფათ, სინამდვილეში ას ოცდარვა ტონით მეტი მოკრიფეს. წელს კიდევ უფრო დიდ მოსავალს მოელოიან.

ახლა ჩაისუბნელთა პლანტაციებში გახურებული მუშაობაა, „მწვანე ოქროს“ დუყი ზღვასავითაა მოსული და ყველაფერი ამ ღამაში სოფლის ადამიანების გამარჯე ხელბზეა დამოკიდებული. სწორედ მათი დამსახურებაა, რომ ჩაისუბნის კომმუნურნობა შარშან საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მონაწილე იყო.

სოფლის ცენტრში დგას ვეება ბერმუხა (სურათი 3); აქვე ახლოს სკოლაა; გაკვეთილები უკვე დამთავრდა და პატარა ბიჭებს გული როგორ გაუძღებთ დღესაც მორიგი მატჩი არ გამართონი სხვა რომ არაფერი, ამ სოფელში ძალიან ბევრი პაიკაძეები ცხოვრობენ, ეს გვარი კი ბევრ რაშეს ავალლებს ნორჩ ფეხბურთელებს. მარტო პატარა გოგონები და ბიჭები კი არა, მასწავლებელი ლუბა ასამბაძეც გამოსულა საყურებლად (სურათი 4).

გამგობის შენობა მარად მწვანე ბაღშია ჩადგმული (სურათი 5).

სოფელში არის რვაწლიანი და საშუალო სკოლები, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, ყოველი კომმუნურის ოჯახი რადიოფიცირებულია, ყოველ

ოჯახში ილიჩის ნათურა კაშკაშებს, ციმციმებენ ცისფერი ეკრანები. სამი ბავშვთა ბაგაა სოფელში, აქ მზრუნველად უტლიან კომმუნურნობა ჩვილებს, სოფლის მომავალ მშენებლებსა და დამშვენებლებს, სანამ მათი მშობლები პლანტაციებში ირჭებიან.

უკვე დაწყებულია კულტურის სახლის მშენებლობა. შიდა სასოფლო გზებზე აგებენ ასფალტს, რომელსაც აქვე თავიანთ ასფალტის ქარხანაში ამზადებენ. დაწყებულია დიდი წყალსადენის მშენებლობაც. მალე, ავტომატური ტელეფონების სადგურსაც ააგებენ. ამაზე უკვე სერიოზულად ფიქრობენ ოქროპირ შარაშენიძე, სოფლის საბჭოს თავმჯდომარე რევაზ ლორია და სხვა აქაური თავკაცები.





აკანხ ბალაშვილი

უკაცუნა, დაყნოსა კიდევ და თითქოს თვალებს არ უჭერებსო, ყმაწვილს ისე შეეკითხა:

— ბიჭო, ეს რა წითელი ხეა?

— ეგ ბატონო, ბებერი შვინდის ხე გახლავს, — მიუგო ყმაწვილმა და კვლავ დაზგაზე დაიხარა.

— სადაურია?

— ქსილისურია, ბატონო.

— ჰმ, ქსილისურია?! — გაიკვირვა ქაიხოსრომ და დაუმტატა, — რას მიუღ-მოედებ?

— აგრეა, ბატონო! ძია მიხოს მასალა მუდამ იქიდან ჩამოაქვს, თითონაც იქაურია, ახლაც სწორედ იქ არის წასული, იქნება სალამოზეც ჩამოვიდეს.

— ჰმ, ესეც ახალი ამბავი?!... ბიჭო, დიდხანია რაც ი შენი მიხო აქ მუშაობს?

— ძია მიხო ესე ამბობს, ამ სახელოსნოში ბარემ

გზაზე შემდგარი, იქაურობას ისე ეთხოვებოდა, თითქოს სული და გული იჭა რჩებოდა.

მან წლეულაც თანასოფლელებს აღრიან გაზაფხულით შეუთვალა:

— მასალა დამიზადეთ, მოვიდვიარო, — და პასუხს არც კი დაელოდა, ისე გაემგზავრა...

მოუახლოვდა თუ არა სოფელს, მცირე დაღმარითი ჩიარა და სასაფლაოსაკენ გადაუხვია, რომ ჩვეულებისამებრ ჯერ წინაპრების საფანე მოენახულებინა, მაგრამ...

ეს რა ღვთის რისხვია! მიხო სოფლის სასაფლაოს რომ წაადგა, თვალბზე თითქოს ობობას ქსელი აებლანდა... მოისრისა თვალბი, დახუჭა, ისევე გაახილა, „დასწყევლოს ღმერთმა, თავბრუ ხომ არ მესხმისო“, — გაიფიქრა და ცხენიდან შეშლილივით გადმოხტა. გაიარ-გამოიარა, იქაურობა

სახელოსნოში

აკანხოვა

ეს ამბავი კარგა ხნის წინ მოხდა. ქსილისის ნაყოფიერი ველ-მინდვრების პატრონი მაშინ თავადი ქაიხოსრო იყო. მიწების დიდი ნაწილი ქაიხოსრომ ჩალის ფასად მიჰყიდა ბარონ როზენერს, აღებული ფულით თავადმა და მისმა თანამეცხედრემ ევროპის ქალაქები მოიარეს და მერე ორ თვეს პეტერბურგში დაჰყვეს. სანამ იქიდან თბილისში დაბრუნდებოდნენ, ვენაში ნაყიდი ავეჯიც ჩამოუვიდათ და თავიანთი ოჯახის ევროპულად მოწყობას შეუდგნენ.

მამა-პაპისეული ყველაფერი გადაყარეს, კედლები ფერადი ქალღვრებით აპირეს და დარბაზებში უცხოური ნივთები ჩამოამწყვრივეს. თავადს განსაკუთრებით ერთი საგარძელი მოსწონდა — წითელი შინდის ხისა იყო, ვენიდან ჩამოტანილი, ისეთი კოხტა და ფაქიზი, თვალს ავრე ადვილად ვერ მოსწყვეტდი, გამოსაჩენ ადგილზე იდგა და სტუმარს აუცილებლად თვალში უნდა მოხვედროდა.

მაგრამ დახუთ უბედურებამ! ერთხელ ჯაფით მოქანცული კოჭლი მოახლე გოგო წაბარბაცდა, ჩამოგლეჯილი კაბის კალთით ამ საგარძელს წამოედო, თავი ველარ შეიხარა და წაიქცა. საგარძელიც თან გადაჰყვა და ყრუ ქაზუნით იატაკზე დაეცა. ფერდაყარული გოგო სწრაფად ზეზე წამოხტა და საგარძელი წამოაყენა, შეხეთქილი ფრთა კი იატაკზე დარჩა. ეს რომ დაინახა, მოახლემ გულსაკლავად წამოიკივლა და საცოდავად ჩაიყვია.

ქაიხოსრომ ეს ამბავი რომ შეიტყო, გოგო წიხლის ცემით კინაღამ მოკლა; მერე, როცა დაწყნარდა, გადაწყვიტა ოსტატი მოეძებნა, რომელიც შეიძლებდა საგარძელს ისე შეეკეთებინა, რომ მას არაფერი დასტყობოდა.

დიდხანს იარა ქუჩებში, ბოლოს ერთი საღურგლო ფარდულის წინ შეჩერდა და კარის თავზე გაკრულ თეთრ ფირნიშანზე ნახშირით წარწერილი ასოები ამოიკითხა: „ობოლ მიხოს სახელოსნო, ხისგან ყველაფერს ვაკეთებ“.

ქაიხოსრო ფარდულში შევიდა.

— ბიჭო, სად არის სახელოსნოს პატრონი? — შეეკითხა დაზგაზე დახრილ ქაბუჯს.

— აქ არ გახლავს, ბატონო! — მიუგო ყმაწვილმა და შალაშინში გაქუცული ბურბუმელას სატეხით გამოიღება დაუწყაო.

თავადს მისი პასუხი არ მოეწონა, მოქუტუელი თვალბით ბიჭი დამცინავად შეათვლიერა. მერე უცებ, სახელოსნოს კუთხეში წითელი ხის მასალა მოხვდა თვალში, ქაბუჯს გვერდით აუარა და იმ კუთხეში მივიდა, თავისი ვენურის სავარძლის ფრთახავით მომრგვალებული ერთი ხის ნაჭერი ხელში აიღო, შეატრიალ-შემოატრიალა, თითი და-

ოკდაათამდის შეწნაირი შეგირდი გამოვზარდო.

— შე ტურტლიანო, ვის უბედავ ტყუილს?! — შეუტრია თავადმა შეგირდს — მასე რომ იყოს, ამ სახელოსნოს აქამდე ვერ შევამჩნევდი?

შეგირდი გაჩუმდა, ქაიხოსრომაც ცოტა ხანს კიდევ იშფოთა და დაწყნარდა. მერე სახელოსნოში რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა, კუთხეში მიყრილ მასალას ფეხი ღონივრად წაჰკრა და შეგირდს შეეკითხა.

— ბიჭო, ის შენი ოსტატი როგორი ხელოსანია?

— ძალიან კარგი, ბატონო! — ხალისით მიუგო შეგირდმა და დაზგაზე დადებული ფიცარი წახნავით ხრჩოლში მოაქცია.

— ერთი იმის ნახელავი მაჩვენე!

შეგირდმა თავადი ძელურში გაიყვანა და მიხოს გაკეთებული ვაჭრის კარები და მრგვალი მაგიდა უჩვენა.

თავადს ოსტატის ნახელავი მოეწონა, მაგრამ სახეზე კი არ დაიმჩნია, შეგირდს მწყურალად დაუბარა:

— ის შენი მიხოა, თუ რაღაც გოგორის ყუნწი, რომ მოვიდეს უთხარი — ქაიხოსრომ გიბრძანა ჩემთან მოდი-თქო, — ბატონმა სახელოსნო ისე დატოვა, რომ ერთხელად დაფეთებული ქაბუჯისათვის ზედაც არ შეუხედავს.

მიხო იმ მცირეოდენ ხე-ტყეს, რაც მას სჭირდებოდა, მუდამ ზაფხულში ყიდულობდა, მაშინვე მზეზე აშრობდა, შემოდგომით ნახევრად აშუშავებდა, ზამთარში ახმობდა და გამოსული მასალა გაზაფხულისათვის მზად ჰქონდა. ქსილისში ეს ყველამ იცოდა და თითო-ორიოლა ხეს წინასწარ უმზადებდნენ.

— ჩემი სოფლის ხე დაზგაზე რომ მიდევს და ემუშაობ, ასე მგონია ჩემიანებს ველაპარაკები, — სიმთვრალეში ამას ხშირად იტყოდა ხოლმე ხელოსანი.

მართალია დიდი ხანი იყო გასული, რაც მიხო ქალაქად ცხოვრობდა, მაგრამ თავისი სოფლისაკენ გული მინც მიუწყვედა, მამა-პაპის ნაფუძარს არ ივიწყებდა. ჩავიდოდა თუ არა ქსილისში, ჯერ თავის წინაპრების სამარებებს ნახავდა, საფლავის ლოდებზე მოკიდებულ ხავსს ვააცილიდა, სანთლებს აუნთებდა, ერთ-ორ კაცსაც მიიყვანდა და წასულბის შესწინაობრად საფლავზე წითელ ღვინოს დააწყვეთებდა. ზოგჯერ მუდუღუქეთა დასტასაც მიიწყვედა; მერე მთელ სოფელს ჩამოუგლიდა, ყველა ნაცნობ კუთხეს მოინახულებდა, მამა-პაპისეულ ნასახლარის ნანგრევებშიც შევიდოდა, სანთლებს აანთებდა და წამოსვლის წინ, — ქალაქის

კარგად მოათვლიერა, ყველა ნიშნებით სასაფლაოს ადგილს ჰგავდა და მინც ვერ დაიჭერა. ბოლოს მაგაზეც იკბინა, ხომ არა მძინავს, სიზმარში ხომ არა ვარო, ყველაფერი ამაო გამოდგა და ჭირისოფლში გაცურებულს უნდა ერწმუნა, რომ ყველაფერი ცხადი იყო... ნასაფლაოვარზე წელამდის მომდგარი შვრიის ყანა გულის წამლებად შრიალედა. ვილაკას გადაეხნა სასაფლაო და შვრია დაეთესა.

ამ შემადარწუნებელი სანახაობით თავზარდაცემულმა მიხომ ცხენს თავი მიანება და ოდოშად მომდგარ ყანაში ლაწა-ლუწით შევიდა.

ლელისიმისხო შვრიის ღეროებში თავქუდმოგლეჯილი დიდხანს დაბორილობდა და დაემგბა ხავსმოკიდებულ ლოდებს, მაგრამ ამაოდ, იმათი ნაადგილარიც კი ველარ იმოვნა. ბოლოს, გამწარებულ და ძებნით ამაოდ დამშვრალი, პირქვე დაემხო და ატირდა.

შებინდებისას წამოღდა და ბექობზე შემდგარ, სახურავჩამოგრეულ პატარა ეკლესიისაკენ გასწია. კუთხეზე მიწებებული სანთელი საცოდავად ბუტუფავდა და ჩაშავებულ ბაზალტის ქვებს ოქროს ფერად აფარავებდა.

ანთებული სანთლის დანახავზე პირჯვარი გამოისახა.

ეკლესიის კარებზე ვილაც ბერიკაცს ყავარჩენი მიეყუდებინა, თვითონ კი მუხლისთავებზე იდგა და ლოცულობდა.

მიხო სწრაფად დაიხარა მოხუცისაკენ. ბერიკაცმა ხელი თვალბზე მოიხრილა, მოსულს შეხედა და შეეკითხა.

— რომელი ხარ, შვილო? ველარ გიცანი, მე დასაბრმავებელმა.

— თემურას შვილიშვილი ვარ, მოხუცო, — გულაჩუყებულმა მიუგო.

— ჩვენი მიხო ხარ, ბიჭო?! — წამოიკენესა მოხუცმა და დაუმტატა, — ეხ, შვილო, უბედურება დაგვატყდა თავზე. ვან ამის შემდეგ კიდევ გვეთქმის რამ, ვანა კიდევ ხმა ამოგვეღებო?! ჰაი დედასო, რომ ჩვენში ვეკაცები გადავვარდნენ და ლაჩართა სათარეველები გავხდით, თორემ ქაიხოსრო ამას როგორ გავგიბედავდა! იმ წყევლმა მთელი ქსილისი ვილაც გადამთიელ როზენერს მიჰყიდა, ახლა ყველაფერი იმ ურჯულსოა. მინდორიცა და ტყეცა, კლდეცა და წყალიცა, საბჭოლიცა და კალოცა, ეკლესიაცა და სასაფლაოცა, ჭვაცა და კენჭიცა. იმანაც აიღო და გადახნა.

— მერე და რატომ ყველანი ზედ არ შეაწყვდი? სად გქონდათ უღვაში და ნამუსი?

— იყუჩე ბალო, დაძრახულს რაღა დაძრახვა

სახელმწიფო

სხილი ქუჩისა



* * *

ცეცხლი დაუნთეს უცნობ ქარისკაცს,
ერთად შეკრიბენ ხსოვნა ყველასი, —
მათი დარდისგან,
მათი ჭავრისგან
გული დამძიმდა, როგორც გელაზი.
ახლა ერთმანეთს დაამოხილეს,
ახლა ერთმანეთს თანაუგრძობნენ,
როგორც უდგამენ ძეგლებს ცნობილებს,
ისე დაუნთეს ცეცხლი უცნობებს.
ისინი ჰგავნან ღამის პატრულებს,
იმით სული ვერ დაუხურდავს,
ვარსკვლავებივით მიმოფანტულებს
ენატრებოდით ზეცა უკვდავებს.
ენატრებოდა ზეცა მოკვდავს —
დილის ოქრო და საღამოს ვერცხლი,
და ღმერთებს მხოლოდ მისთვის მოსტაცა,
რომ ამ საფლავზე დაენთო ცეცხლი.

* * *

წვიმს. მავთულები ჩუმად სტირიან.
წვიმა ქუჩებში ჰკიდებს ხალიჩებს.
დღეს მუხუთში დაკეტულია
და მე მეტროში შემოვაბიჯე.
აქაც მოსულა მკლავი მეგუთნის
და მიწის ღერძი გალღუნია,
აქ ჩვენი თავი ჩვენ არ გვეკუთვნის,
აქ უფრო ჩქარი საუკუნეა.
აქაც კარგია გადასახედი:
მარშარილოთი სავსე მაღარო...
მაგრამ ჭერ ზეცა დამანახე და
მერე მომკალი,
ღმერთო მაღალო!

* * *

მიწისძვრას მაშინ უფრო ამჩნევენ,
როდესაც მაღალ ქალაქს დაანგრევენ, —
მაგრამ ამაყი კაცის მარჯვენა
აშენებს უფრო მაღალ ქალაქებს
და არქმევს უფრო ღამაზ სახელებს,
მანქანის საყვირს კრძალავს ქუჩებში,
ნუგეშის ერთი სიტყვა აღილეებს,
ახელებს ერთი სიტყვა უხეში.
ლაზარეთის და ციხის კარებთან
იასამნებს და იებს ახარებს,
ათი წლით აღრე ადგენს კალენდარს,
ასი წლის შემდეგ აქებს საყვარელ
გმირებს და ხარობს კაცი კაცითა,
მზერას უსწორებს მზესა და არწივს...
მაგრამ მიწისძვრა მაინც მკაცრია:
იგი ცარიელ აკვნებსაც არწევს.

* * *

მიწა ხარ,
მაგრამ სუნთქავ კაცივით,
ხეებს ფესვებზე ებლაუკები:
მაღლებმა თავი მაღლა ასწიეს,
უფრო ამაყად დგანან ჭუჭუბი.
შენი სჯობია მაინც დარბაზთა
ამინდს — ამინდი გაუხუნარი,
დაფასდა,
მერე როგორ დაფასდა
შენი ოქრო და შენი ურანი?!
შენ კი ზვიადი მამაკაცივით
ყველას ამაოდ იგერიებდი,
ჭერ ეზოებად დაგანაწილეს,
მერე მომრავლდნენ იმპერიები.

მაინც ამაღლდი ზეცის კარამდი,
მაინც ყველაზე გვიან ბერდები,
მხოლოდ კარატი,
მხოლოდ კარატი
უნდა აწონონ შენი ბელტები.

* * *

მე არც გარწმუნებთ
და არც გაჭერებთ,
გთხოვთ —
ნუ გადაყრით პურის ნარჩენებს...
ძუნწები წყალში ყრიან ოქროებს,
ღვინოში ყრიან ფულებს ლოთები, —
ჩვენ კი ისედაც გავძლებთ როგორმე,
უკეთეს დღეებს დაველოდებით.
გული ძალიან ხშირად ექვდებოდა,
თუ ტკბილი სიტყვით არ არუშებენ, —
მდინარის ფსკერზე ყრია ბებლები,
სათები და სამაჭურები.
გაწბილებული მაძიებლები
ზღვას უბრუნებენ ძვირფას მარგალიტს;
უფრო ძლიერი მაძიებლები
მძიმე წყალს ღვრიან ხელის კანკალით
და შუბლზე ახალ ნაოჭს ამჩნევენ...
გთხოვთ —
ნუ გადაყრით პურის ნარჩენებს.

უნდა, — შეუტია მისხოს გაბრაზებულმა მოხუცმა
და განავარძო, — რა არ ვიღონეთ, საქმეს კი ვერა-
ფერი ვუშველეთ. ერთს ასი მოგვისიეს და აბა რა
კეთილი დაგვადგებოდა?!
ყავარჯენზე დაყუდებული მოხუცი დიდხანს
მოსთქვამდა. მისი დემოკრატიზაცია და შერისი ყანაში
მობალახე ცხენისაკენ დარტყვიანებულოვით წაბარ-
ბაცდა.

მეორე დღეს, მისი ქალაქში ნაშუადღევს ჩამო-
ვიდა და დარდიან გუნებაზე წაცნობ მიკიტანს გა-
მოუყარა, ორი ხელადა შავი ღვინო ორი წვეთივით
გამოცალა და სახელოსნოში შეზარხოშებული დაბ-
რუნდა. შევირდმა ცხენი ჩამოართვა, დააბა, დაბ-
რუნდა და ოსტატს მოახსენა:
— ბა მისო, თავადი ქაიხოსრო გიბარებს, გუ-
შინ აქ იყო, დღეს კი მოურავი სამჭერ გამოგზავნა,
შენა გკითხულობს.
— რაო, ქაიხოსრო? — გაიმდგორა შემკრთალმა
ოსტატმა და თითქოს ვერ გაიგო, შევირდს ისე
შეეკითხა: — შენა თქვი ქაიხოსრო გიბარებსო?
— ხო, ეგრე ვთქვი ოსტატო, — მიუგო ყმაწ-
ვილმა და მისი შეათვალთვალა.
— რა მნებასო? — ჰკითხა ოსტატმა და შე-
ვირდს თვალთვალში გაუყარა.
— მოურავი ამბობდა: თავადმა ვენიდან სავარძ-
ლები ჩამოიტანა, ერთ ცალს ფრთა მოსტყდა და
შენი ოსტატი იმის გაკეთებას თუ შესძლებსო.
— თუ სავარძელს ვერ შევუკეთებ, გულს მაინც
გაუვებო, — წამოიყვირა ოსტატმა, ხანჯალზე ხელი
გაივლო და გარეთ შურდულივით გავარდა.

შევირდი ჭერ შეკრთა, დაიბნა. მერე კი, თით-
ქოს რალაცა იწონაო, გარეთ გამოვარდა და ოს-
ტატს უკან დაედევნა, მაგრამ ველარ დაქვია და
ორივენი ერთდროულად შევივდნენ თავადის
ეზოში.

— თავადო, სავარძლის შესაკეთებლად მოვედი,
— შესძახა აქლოშინებულმა მისომ, როცა ფანჯა-
რზე გადმოყუდებულ ქაიხოსრო დაინახა.

— მანდ მოიცადე, შენი ბინძური ფეხი აქ არ
შემოვადგა, თორემ... — გადმოსძახა თავადმა.

მისომ ესეც მოუთმინა. ის იყო კართან კოკლი
გოგო გამოჩნდა. მას ზურგზე ვენური სავარძელი
მოეყიდა, მოტეხილი ფრთა კი იღლიაში ამოედო
და თავადისა და ქალბატონის წინ საცოდავად მო-
ჩლახუნობდა.

მისო მოახლოს მხრებზე შედგმულ სავარძელს
დაცქეროდა და უცნაურად აფორიაქებულმა წამით
ყველაფერი გადაივიწყა. მერე სავარძელს გაშმაგე-
ბული მისწვდა, ხელში აიტაცა, შეატრიალ-შემოატ-
რიალა, თვალბრთ მოესიყვარულა და წელის მისა-
ყულზე ვენური იარაღი რომ შენიშნა, ერთბაშად
გუნება წაუხდა, სახე სატირლად მოეღუშა, შევირ-
დისაკენ შემოტრიალდა და თვალცრემლიანმა კენე-
სით წამომარცვლა:

— ხედავ, ვენიდან ჩამოტანილიო. ხეც ქსილი-
სურია და ნაკეთობაც ჩემია. იარაღი კი თავიანთი
მიუწებებიათ.

— ჰმ, ესეც ახალი ამბავი?! — დაცინვით ჩაი-
ბურტყუნა ქაიხოსრომ და გაკვირვებულმა გადახე-
და ცოლს, — თურმე ვენაში კი არ გაუკეთებიათ
ოსტატებს, ამისი ნახელავი ყოფილა!

— არ გჯერა, განა?... — წამოიყვირა გაბრაზე-
ბულმა მისომ, სავარძელი ძირს დაავლო და ხანჯა-
ლი იწიშვლა. თავადს ფერი ეცვალა და განზე გა-
დახტა. ოსტატმა კი სატყვეარი სავარძლის ბალიშზე
გადაკრულ ტყავში გაუყარა, მერე მაღლა აიჭინა და
მოთელილი მატყლის ბურღლები ხანჯლის წვე-
რით აქეთ-იქით მიმოფანტა. სავარძლის ძირითა
ფიცარი რომ გამოჩნდა, ქაიხოსროს უთხრა:

— აბა, თქვენი თვალთ ნახეთ და დარწმუნდით,
რომ ეს სავარძელი ჩემი გაკეთებულია, ეს იარაღი-
ცი კი როზნერს იმიტომ გაუკვრევიანებია, რომ ჩე-
მი ყველაფერი მიითვისოს და გამძაყკოს.

თავადი და მისი ცოლი სავარძლისაკენ გადაი-
ხარნენ და ღამლით ამომწვარი სიტყვები — „ობო-
ლი მისო“ ამოიკითხეს.

— ჰმ, ესეც ახალი ამბავი?! — ჩაიბურტყუნა
გაოცებულმა თავადმა და განზე გადგა.

ქალბატონი კი ისტებარს არ იტებდა და ოს-
ტატს იქვენულად ეკითხებოდა:

— თუ მართლა შენი გაკეთებულია, ვენაში რა
უნდოდა, ან ჩვენში ასეთი წითელი ხე სად არის?

— ბარონი ჩემგან ყოველ წელიწადს ორმოცდა-
ათამდე სავარძელს ყიდულობს და თავის ქვეყანა-
ში ჰგზავნის. ეს წითელი ხე კი ჩვენებური შენიდის
ხეა და მეტი არაფერი, — მიუგო ოსტატმა.

ქაიხოსრომ მისხოს აღზნებულ თვალს თვა-
ლებით დამნაშავესავეთ მოარიდა, ერთ წუთს კიდევ
მოიცადა და უმაღლ სახლში შებრუნდა — ოსტატს
ხანჯალი ისევ ხელთ ეჭირა.

მისომ ხელი ჩაიჭინა და შევირდთან ერთად თა-
ვის სახელოსნოსაკენ გასწვია.



და მით დაკარგოს მან იმედი მაცოცხლებელი, რომ შეიძლება მის გარდაქმნას წყნარად, შეფარვით.

ჩარჩოში ყოფნა — პოი, მეტად ძნელი ყოფილა, გაბედულებას მოსაზრება უსუსტებს შუქსა.

პიესა, რომელიც სენსაციად იქცა პრემიერამდე

„მაკბერდი“ „მაკბერდი“ „მაკბერდი“

კენედისა და ჯონსონის ოჯახზე დაწერილი ეს პიესა, რომელიც შექსპირის სტილის პაროდიას წარმოადგენს, ჯერ კიდევ ოფიციალურ პრემიერამდე სენსაციის მთავარ მოვლენად იქცა: რეცენზიების ავტორთაგან ზოგი დაწინაურდა მას, ზოგი კი ცამდე აქყავს. კრიტიკოსი დუაიტ მაკდონალდი აღფრთოვანებით წერს: „როგორც იქნა ახალგაზრდა თაობამ ასპარეზზე გამოიყვანა თავისი სატირისი“. კრიტიკოსი ლაიონელ ეიბლი კი თავის მხრივ პიესას „უგემოვნო... სტუდენტურ შეყირბაზობას“ უწოდებს, რადგან მასში გადაკრულად მინიშნებულია დუნკან-კენედის მკვლელობაში მაკბეტ-ჯონსონის მონაწილეობაზე.

მთელი ამ კრიტიკული ქარიშხლისა და აურზაურის მიუხედავად ოცდახუთი წლის თავმდაბალი და ხათონ ქალი ბარბარა გარსონი — პიესის ავტორი, ამ პიესის დაწერა მან გადაწყვიტა წილიწოდნის ხერხის წინააღმდეგ, როცა იგი გამოვიდა ბერკლის უნივერსიტეტში (კალიფორნია), სტუდენტთა შეკრებაზე, რათა პროტესტი განეცხადებინა ამერიკის აგრესიული ომის წინააღმდეგ ვიეტნამში. „მე მასში შემეშალა, — იგონებს ბარბარა, — და ქალბატონ ბერდ ჯონსონს ლედი მაკბერდი ვუწოდე; ეს შეცდომა მერე გამახსენდა, და რატომღაც ვიფიქრე, რომ ამაზე შეიძლება გადავიხადო პაროდის აგება“.

მაკბერდიდან ფიქრმა მაკბეტისკენ გაიწია და პოლიტიკური პარალელები ზედოხედ მოჰყვენ ერთმეორეს. ამის შედეგად მიღებულ იქნა, რაღაც თავშესაქცევი ნარევი სატირისა და გმირისა, რომელიც ლინდონისებური მაკბერდი მაყურებლებს მიესალმება სიტყვებით — „სალამი ძმებო“. ხოლო მოსამართლე უორენს ასე მიმართავს: „ეცმაწვილო! საკუთარ თავს კი შემდეგნაირად ახსნათებს:

მასალათაგან უმტკიცესით ვარ მე ნაქელი, პირმოთნეობას ჩემს, შემბარავს არ ვარ ჩვეული.

აი მისი თვალსაზრისი საგარეო პოლიტიკაზე:

გვინებებია მთელ მსოფლიოს მებანძრედ ვედგეო, თავისუფლება მივუტანოთ, ჩავაჭროთ ცეცხლი, ანთებული რისთვისაც გნებავთ... და მერე თუნდაც სიფილისი დამკვიდრდეს იქაც, ოღონდაც იყოს ამერიკული.

ელლაი სტივენსონს (ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი ელჩი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში) განასახიერებს ჰამლეტისებური პიროვნება, რომელიც მერყეობს მოქმედებასა და კომპრომისის შორის:

კქერა? არ კქერა? — საკითხავი აი ეს არის. სულელი ქმნილებას რა შეკვეთის, თვალი ვარიდოს მართლმსაჯულების გვიანობას, მძლავრთ უკმეობას, თუ შეებრძოლოს მოზღვავებულ უბედურებას.

ამათ გარდა, სცენაზე თავმოყრილი არიან სენატორი უეინ მორზე, ლორდი მაკნამარა და სამი ჯადოქარი: სტუდენტი ბიტნიკი, „შავი მუსლიმანების“ წარმომადგენელი და ერთი მემარცხენე.

თავდაპირველად, როცა გამოცემილებმა და დამდგმელებმა პიესა უარყვეს, ბარბარას მეუღლემ მარჯინმა თავისი ფულით დააბეჭდინა ნათესი ეგზემპლარი. მერე გამოცემილებმა და ჟურნალისტებმა გადასინჯეს თავიანთი პოზიციები და იწყეს პიესის ნაწყვეტების გამოკვეთება, ხოლო გამოცემლობა „რენდომ ჰაუსმა“ ბარბარა გარსონს ხელშეკრულება დაუდო მის მომავალ პიესებზე, თუმცა „მაკბერდი“ უუურადღებოდ დატოვა.

პიესის დადგმასაც დაბრკოლებები გადაეღობა წინ. პირველი დახურული გასინჯვის დროს მაყურებლები სკამებს აყირავებდნენ და ავტორს „მოლატად“ ნათლავდნენ. მას შემდეგ, რაც თეატრმა „დე ლისმა“ პიესა უარყო „სუსტი ტექსტისა და საჩოთირო თემის“ გამო, მას დასადგმელად ხელი მოჰკიდა ვილიჯ-მეტის თეატრმა, რომელიც ჩვეულებრივ დროს ღამის კლუბს წარმოადგენს.

(„ნიუსსიკი“, ნიუ-იორკი).



ცისფერი ღრუბლის მებამორვოზები

ჯერ იხევ ერთი წლის წინ ძიან ცინი, შაო ძე-დუნის ახლანდელი (რიცხვით მეოთხე) ცოლი, ბევრისთვის სრულიად უცნობი პიროვნება იყო. ამჟამად კი ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრია (შევანხილი კოლბაციის წესით), ამისთან, იგი არის ცენტრალური კომიტეტთან არსებულ „კულტურული რევოლუციის“ საქმეთა ჯგუფის ხელმძღვანელის მოადგილე და ფაქტიურად განაგებს არმიაში არსებულ ამგვარივე ჯგუფს. მას აკუთვნებენ მეორე-მეოთხე ადგილს შაო ძე-დუნის დაჯგუფების იერარქიაში.

ვინ არის ძიან ცინი? დაბადების დღეს (54 წლის წინათ) მას სახელად „ცისფერი ღრუბელი“ შეარქვეს. როცა მსახიობი გახდა, მას უკვე „ცისფერი ვაშლს“ ეძახდნენ. ახლა მას უწოდებენ ძიან ცინს, რაც ჩინურად „მწვანე ნაკადული“ ნიშნავს. ოცდაექვსი წლის მანძილზე ეს ნაკადული მოედინებოდა წყნარად, ყოველ შემთხვევაში, შეუმჩნევლად. სამაგიეროდ ახლა მოქუბს მძვინვარე ნიაღვარად.

ისინი, ვისაც „ცისფერი ვაშლი“ შანხაის სცენაზე უნახავთ, ამტკიცებენ, რომ იგი დიდი ვერაფერი ნიჭის პატრონი იყო. მაგრამ თუ მან თავი ვერ გამოიჩინა როგორც მსახიობმა, მისგან მართლაც კარგი რეჟისორი დადგა: ბევრი სპეციალისტი ვარაუდობს, რომ მან „კულტურული რევოლუციის“ მსვლელობაში მრავალი აქციის ორგანიზაცია განახორციელა. ბევრნი თვლიან „ქალბატონ შაოს“ „კულტურული რევოლუციის“ ერთ-ერთ მთავარ წამომწყებად. სწორედ ძიან ცინმა განაცხადა პეკინის ოპერისა და თეატრის რეფორმის აუცილებლობის შესახებ (რამაც ხელისშეწყობა სცენიდან განდევნა). ეს იყო „კულტურული რევოლუციის“ პირველი მერცხალი.

ჩინეთის საკითხის სპეციალისტებმა ყურადღება მიაქციეს იმ თითქოს და პარადოქსულ მდგომარეობას, რომ ძიან ცინის მოულოდნელი დაწინაურება მოხდა ჩინეთის ისტორიაში კარგად ცნობილი მეთოდით. ჩვეულებრივად, ჩინელი იმპერატორები როცა გრძნობდნენ, რომ ძალაუფლება ხელიდან უსხლტებოდათ, თავიანთი საქმის გამგრძელებლად წამოაყენებდნენ ცოლს და რჩეულ მხედართმთავარს. „მადამ ძიან ცინმა, — განაცხადა ერთ-ერთმა კომენტატორმა, — კომუნისტი გადაიყვანა ძველჩინურ რეჟიმზე“. რა თქმა უნდა, აქ „დამსახურება“ მიუძღვის არა მარტო ძიან ცინს. მაგრამ მისი როლი აშკარად ჩინეთში მძვინვარე ვაქანალიაში საკმაოდ თვალსაჩინოა.



ქორწინების პოლიტიკური სარჩული

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის სავარძლისათვის ბრძოლა, რომელიც 1988 წლის ნოემბერში დაიწყო, სენატორმა — რესპუბლიკელმა ილინოისის შტატიდან ჩარლზ პერსიმ დაიწყო თავისი ქალიშვილის ქორწილით. სენატორის ქალიშვილი ცოლად გახვდა დასავლეთ ვირჯინიის შტატის საკანონმდებლო კრების წევრს ჯონ როკფელერს — ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორის ნელსონ როკფელერის მეოთხე ძმისწულს.

ნეფე-პატარძალის ღირსებათა ჩვეულებრივი აღწერის, საქორწილო სუფრასთან შეკრებილი სტუმრების ჩამოთვლისა და პატარძლის კაბის შლეიფის სიგრძის მოხსენიების გარდა, გაზეთებს არ დაავიწყდათ აღენიშნათ არც პატარძლის და არც ნეფის მილიარდობით დოლარები. და მართლაც ეს ქორწინება სხვა არა არის რა, თუ არა ფინანსური და პოლიტიკური ქორწინება, რადგან მან მკვეთრად გაზარდა ჩარლზ პერსის შანსები — წამოყენებულ იქნას პრეზიდენტობის კანდიდატად რესპუბლიკური პარტიიდან. „ეს ქორწილი სრულიად საკამარისია იმისათვის, რომ გაიზარდოს პერსის, როგორც რესპუბლიკელთა 1988 წლის პრეზიდენტობის შეხამლო კანდიდატის მიზნადგეგმობა“, — წერს „ვინეტონ პოსტის“ მიმოხილველი ჯ. კრაფტი.

ორმოცდაშვიდი წლის ილინოისელი სენატორი თავისი პარტიის წრეებში ლიბერალურ კაცად არის ცნობილი. მას უწოდებენ რესპუბლიკელთა ახალი, მზარდი თაობის სიმბოლოს. მაგრამ 1964 წელს პერსიმ მხარი დაუჭირა თავაწყვეტილ რეაქციონერს გოლდვოტერს. ამ ორიოდე თვის წინ კი გოლდვოტერმა და მემარჯვენეთა კიდევ ერთმა „დედაბოძმა“ დირკსენმა განაცხადეს, რომ მათი პოლიტიკური სიმპათიები ჩარლზ პერსის ეკუთვნის.

ეს საქორწილო ჰიქების წყარუნ და საექლესიო ზარების რეკვა მიინცდამინც დიდად როდი ესამოვნა მიჩიგანის გუბერნატორს ჯორჯ რომნის, რომელიც აგრეთვე ითვლება პრეზიდენტის კანდიდატად რესპუბლიკური პარტიიდან. „ახლა რომნი ჭერჭერობით ისევ მწვერვალზეა, — წერს „ტაიმი“. — მაგრამ რესპუბლიკური პარტიის ცენტრი უკვე იწყებს ჩარლზ პერსის შემამკობელი დიოთრამების მდერას“, რადგან მისთვის პერსის ახლანდელი მოყვრის მილიარდერ ნელსონ როკფელერის სიტყვა საკმაოდ შთამაგონებელი რამ არის.

ასეთია საყოფაცხოვრებო და პოლიტიკური საქმეების მჭიდრო დახმარების კიდევ ერთი მაგალითი დღევანდელ ამერიკაში.





მხატვრები ემზადებიან ოქტომბრის 50 წლისთავისათვის.

ფოტო ო. თურქიასი და ე. პესოვისა.



თბილისი. მეტეხი (ლინოგრაფია)

ბათუმი. რეილზე (ქსილოგრაფია)



ჭვარი (ქსილოგრაფია)

ვესტნიკი ქუთაისის

საფარა (ქსილოგრაფია)



ცნობილი ქართველი მხატვარი, საბჭოთა გრაფიკის თვალსაჩინო ოსტატი ვლადიმერ კუთათელაძე დაიბადა 1902 წელს, სოფელ ივანდიდში (წულუკიძის რაიონი). სწავლა დაიწყო ხონის ვაჟა გიმნაზიაში. 1926 წელს დაამთავრა თბილისის ჰუმანიტარული ტექნიკუმი; ამავე წელს ჩაირიცხა საქართველოს სამხატვრო აკადემიის გრაფიკის ფაკულტეტზე, სადაც მას ასწავლიდნენ პროფესორები ი. შარლემანი, ე. ლანსერე, გ. ჩუბინაშვილი, შ. ამირანაშვილი და სხვები.

1930 წელს, აკადემიის დამთავრების შემდეგ, ვლ. კუთათელაძე ფართო შემოქმედებით ასპარეზზე გამოდის.

ჩვენი გრაფიკის ისტორიაში ვლ. კუთათელაძემ მრავალი საინტერესო ფურცელი ჩაწერა. მის ხელს გაუფორმებია და ილუსტრაციებით დაუმშვენებია

არა ერთი ქართული წიგნი: მან დიდად გაამდიდრა და წინ წასწია წიგნის თუ დაზგური გრაფიკა. ახალ საფეხურზე აიყვანა ქართული განვი გრაფიკა — ქართული ქსილოგრაფია. ასევე საინტერესოა მისი მუშაობა ლინოგრაფიურისა და ავტოლიტოგრაფიის სფეროშიც. მას ეკუთვნის არა ერთი ფერადი ლიტოგრაფიული ფურცელი, ოსტატურად ფლობს იგი დანქარს, კალამს და ფუნჯს. მისი დაზგური გრაფიკა უანობრივად მრავალფეროვანია; კუთათელაძე ავტორია: გრაფიკული პეიზაჟებისა, — არქიტექტურულის; და სალანდშაფტოსი — აქა კომპოზიციურად მეტყველი. ეპოქის სულით გამსჭვალული, როგორც ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლების, ისე ჩვენი რესპუბლიკის ქალაქების და სოფლების პოეტური თვლით დანახული ხედები.

ვლ. კუთათელაძის პეიზაჟები, სივრცის მართალ

და პოეტურ ხილვასთან ერთად, ყოველთვის რჩებიან სახასიათო, მასშტაბურ, შავისა და თეთრის შეწყობის მხრივ მარმონიულ და ლაკონურ სანახაობებად. საპეიზაჟო კომპოზიციებში ყოველთვის სუნთქავს ადგილის დედა. ქართული გრაფიკული პეიზაჟის დამკვიდრებასა, ჩამოყალიბებასა და წინსვლაში მხატვრის ღვაწლი უსათუოდ თვალსაჩინოა; მეტად საინტერესოა ასევე მისი ფორმალური ძიებანიც.

ვლ. კუთათელაძის მართალი შემოქმედება განათებულია სამშობლოს დიდი სიყვარულით, ცოდნისა და ნიჭის მაღლით; მხატვარს ჭერ კიდევ დიდი გზა უძევს წინ და იგი ჩვენ კვლავ არა ერთხელ წარმოგვიდგება მისთვის ჩვეული მეტად საინტერესო კმნილებებით.

შალვა კვასხვაძე,
ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.



თბილისი. სანაპირო (ლინოგრაფიურა)



თბილისი. დაბახანა (ლინოგრაფიურა)



რესპუბლიკის სახალხო არტისტი მედეა ამირანაშვილი.

ფოტო მ. თურქიასი.



მხატვარი რ. პლატონი

Handwritten signature in large, stylized Georgian script.

ზიც ათი

მეჩა
ნამიროვა

ნამდვილი ამბავი

ჭეკა-ჭეხილი უეცრად დაიწყო. თითქოს რაღაც უხილავმა ძალამ ცის ყველა კუნჭულიდან მოხვეტა მძიმე, ჩაკუპრული ღრუბლები და ისეთი სიშმაგით დაანარცხა ერთმანეთზე, რომ დღემიწა შეტოვდა.

წვიმის მძიმე წვეთები ახმურდნენ სახურავზე. ფანჯარაში მძაფრი ქარი შემოიჭრა, მაგიდიდან ქალაღლები ახვეტა, ოთახში დაატრიალა და შემდეგ იატაკზე მიმოფანტა.

ბოლნისის რაიბროკურატურის სახალხო გამომძიებელმა გიორგი ალმანოვმა ფანჯარა დაკეტა. გაფანტული ქალაღლების აკრეფა დაიწყო. როცა ქალაღლები შეაგროვა, მიუახლოვდა ფანჯარას, რომელსაც ცრემლებივით ეკილა წვიმის შეხვები, გამიღიმა და თქვა:

— რას იზამთ, აქედან ერთ საათზე აღრე ვერ წახვალთ. საერთოდ კი, კარგია, დაშარული მიწა დიდი ხანია ელის ამ წვიმას...

ალმანოვი მაგიდას მიუჭდა, რაღაც ქალაღლები გადაფურცლა: — თუ გინდათ, კიდევ ერთ საქმეზე გიამბობთ. იგი ახლახან გამოვიძიე, ქვეს კარიერში ვიპოვეთ სადახლოელი მუშის გვაში...

უეცრად ტელეფონი აწკრიალდა, ალმანოვის პასუხებიდან გავიგე, რომ რომელიღაც უფროსი იბარებდა. არც შევმცდარვარ.

— როგორ მოვიქცეთ? — უხერხულად შემეკითხა გიორგი, — პროკურორი მიბარებს...

იგი წამით დაფიქრდა, მერე სეიფი გამოადო, კიდებზემოკვეთილი მოწმევანო საქალაღე გადმოიღო და გამოამიწოდა:

— გადაათვალიერეთ ჩემს დაბრუნებამდე. ჩემი საუყარელი საქმეა. ყოველ გამომძიებელს აქვს ასეთი...

მან ფრთხილად გაიხურა კარი, მე კი № 57 სისხლის სამართლის საქმის კითხვას შევუდექი და აი, რა შევიტყე...

* * *

— მოდი, ლატარიის ბილეთები ვიყიდოთ, — შესთავაზა ერთხელ თანაკლასელებს მანანამ.

— ვიყიდოთ!

— კარგს იზამთ, ბავშვებო!... — მხარი დაუჭირა მოსწავლეებს ერთი მასწავლებელი, — ადექით და ხვალ სკოლაში ოცდაათ-ოცდაათი კაპიკი მოიტანეთ.

მეორე დღეს, გაკეთილები შემდეგ, ეთერი მასწავლებელმა ბავშვებს მოვარდისფერო ლატარიის ბილეთები დაუჩიგა.

— ნაწული საკერავ მანქანას მოიგებს და ყოველდღე ახალ კაბებს შეიკერავს, — ეთერი მასწავლებელი თან ბილეთებს არიგებდა და თან ღიმილით ლაპარაკობდა, — გოდერძი ტელევიზორს მოიგებს, მაღე ფეხბურთის მატჩები დაიწყება მსოფლიო პირველობაზე და ტელევიზორით ნახავს ყველა თამაშს. ნათელას ველოსიპედი სჭირდება, რომ სკოლაში არ დაიგვიანოს...

ბავშვები მხიარულად იციონდნენ თავიანთი ახალგაზრდა და გულკეთილი მასწავლებლის ხუმრობაზე.

— მოდით, შევთანხმდეთ, — შესთავაზა ამხანაგებს მანანამ, — თუ რომელიმე ჩვენგანი საკერავ მანქანას მოიგებს, მთელმა კლასმა ვისწავლოთ კერვა...

— თუ ვინმე „ვოლგას“ მოიგებს, მაშინ ყოველ-

კვირა ექსკურსიები მოვწყუთ ხოლმე! — დასძინა ნათელამ.

— ამ ბილეთით ნუთუ მართლა შეიძლება ნამდვილი ავტომობილის მოგება? — უნდობლად იკითხა გოდერძიმ.

ბავშვები გაცხოველებით კამათობდნენ, მხოლოდ ნუკრი რეხვიანული დუმდა. მას არ მოუტანია ფული. როცა ეთერი მასწავლებელი მის მერხთან შეჩერდა, იგი გაწითლდა და თავი ჩაღუნა. მაგრამ მასწავლებელმა თითქოს ვერც კი შეამჩნია ეს. სიაში, ნუკრის გვარის გასწვრივ აღნიშვნა გააკეთა, ბილეთის ნომერი ჩაიწერა და ბიჭუნას გაუწოდა იგი.

— ჩვენი ნუკრი პირველი მოსწავლეა კლასში და ამიტომ მას ყველაზე უკეთესი მოგება უნდა ხვდეს წილად.

— „ვოლგა“? — იკითხა ნათელამ.

— შეიძლება „ვოლგაც“.

ნუკრიმ თავი ასწია, მასწავლებლის კეთილ თვალებს შეხედა და მადლიერებით გაუღიმა.

ეთერი მასწავლებელმა მისი მერხიდან კალმისტარი აიღო, მელანში ჩააწო და ნუკრის ბილეთზე დააწერა სიტყვა „ვოლგა“. კალამს, ალბათ, ბეწვი აეკრა და ასოები დიდი და მსხვილი გამოვიდა.

ნუკრი რეხვიანულის ოჯახი ცხოვრობდა სოფლის განაპირას, პატარა, მაგრამ ახალ და კარგ სახლში. ორი წლის წინათ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ქეთევანისთვის არცკი უკითხავს თანხმობა და მუშებს უბრძანა, მისი მთელი ავლა-დიდება ძველი სახლიდან ფარდულში გადაეტანათ. ბავშვები კი, — ქეთევანს ოთხი შვილი მყავდა, უმცროსს, ნუკრის, მაშინ შეუსრულდა შვიდი წელი, უფროსს, ამირანს, თხუთმეტი — თავისთან წაიყვანა; ერთი თვის შემდეგ ქეთევანი ახალ სახლში გადავიდა და მუმბარაქი გადაიხადა. მაღალი, გამხდარი, შავ სამოსელში გამოწყობილი ქვრივი სუფრაზე თავმჯდომარის გვერდით იჯდა.

ნუკრი ოთხი წლის იყო, როცა ყაჩაღებმა სასიყვდილოდ დასჭრეს მამამისი, რომელიც კოლმეურნეობის ნახირს უკიდდა.

— უმცროსები ინტერნატში მიიბარე, — ურჩევდნენ ქეთევანს სოფელიელები, — მარტოხელა ქალი ოთხი ყმაწვილის გაზრდას ვერ შესძლებო, მაგრამ ქეთევანი თავისას არ იშლიდა:

— შევძლებ... დღესა და დამეს გავასწორებ და შევძლებ!

* * *

დღეები ნელ-ნელა ილეოდა, ბოლოს ნუკრიმ კიდევ ერთი ფურცელი მოხია და კალენდარზე აციმციმდა ციფრი „25“, ეს დღე ლატარიის ცხრილის გათამაშების თარიღი იყო.

მესამე დღეს თბილისიდან დაბრუნდა რეხვიანულის მეზობელი რეზო სიმონიშვილი და თან ჩამოი-

ტანა „კომუნისტის“ ახალი ნომერი, რომელშიც გათამაშების ცხრილი იყო დაბეჭდილი.

— ეი, ბიჭო, — დაუძახა მან ნუკრის, — მოიტანე აქ შენი ლატარიის ბილეთი, შევამოწმოთ. იქნებ მართლა მოიგე რამე!

რეზო გაზეთითა და ლატარიის ბილეთების დასტით ხელში იჭდა სახლის წინ.

— თქვენ რაიმე მოიგეთ? — ჰკითხა ნუკრის, თან თავისი ბილეთი ამოიღო და რეზოს გაუწოდა.

რეზომ ბილეთი გამოართვა, მუხლებზე გაზეთი გაშალა და საჩვენებელი თითი გააყოლა ციფრების გრძელ სვეტს. თითი მხოლოდ ერთი წამით შეჩერდა სვეტის შუაგულში და მაშინვე ჩასრიალდა ქვემოთ.

— ამჯერად შენ ვერაფერი ვერ მოიგე, — თქვა რეზომ.

— როგორ თუ... ვერ მოვიგე?! — ჩვეულებრივად, ვერ მოიგე!

რეზო წამოდგა, გულგრილად აიჩირა მხრები, წამოდგა და სახლისკენ გაემართა. გაოგნებულმა ნუკრისმ თვალი გააყოლა მას, შემდეგ გაიქცა, დაეწია, ხელი წავლო და მღელვარებისაგან აჯანყებული ხმით ძლივს გასაგონად ჩაილაპარაკა:

— მომეცი, მომეცი ჩემი ბილეთი! არ არის მართალი... მასწავლებელმა თქვა...

რეზომ გაიცინა:

— რა, შენი მასწავლებელი, გულთმისანი ხომ არ არის?..

— მომეცი ჩემი ბილეთი! — ჩურჩულით გაიმეორა ნუკრის.

რეზომ უგულოდ ამოიღო ჰიბიდან დაჭმუჭნილი ბილეთების დასტა, გამოართო ერთი, გაასწორა, ოთხად დაკეცა და ბიჭს გაუწოდა. გაოგნებულ ბავშვს ბილეთისათვის არც კი დაუხედავს, ჰიბში ჩაიღო და იმედგაცრუებული გამობრუნდა უკან. ნუკრი გვიან საღამომდე იჭდა ფარდულის ბნელ კუთხეში. დილით სწრაფად ჩაიცვა, ხელი წამოავლო წიგნებს და სკოლისკენ გაიქცა.

ბავშვებმა ჭერ არაფერი არ იცოდნენ, გაკეთილებს შემდეგ აბრებდნენ ფოსტაში წასვლას და ლატარიის ბილეთების შემოწმებას.

დაირტა წარი, კლასში ერთი მასწავლებელი შემოვიდა, გახსნა პორტფელი და გაზეთი ამოიღო. ბავშვები წუთით მიუჩრდნენ, მიხედნენ, მასწავლებელმა ლატარიის ცხრილი მოიტანა.

— უბრძვლეს ყოვლისა, ვის გაასეირნებ შენი „ვოლგა“? — მოულოდნელად შეეკითხა მასწავლებელი ნუკრის და მის მერხს მიუახლოვდა.

ბავშვმა გაოცებით შეხედა მასწავლებელს — რატომ დასცინის? ნუკრისმ ათრთოლებული ხმით უპასუხა:

— მასწავლებლო, რათ მატყუებთ?

— რას ამბობ?.. აბა რაში მჭირდება შენი მოტყუება? — გაოცდა ერთი მასწავლებელი.

— არ არის მართალი არაფერიც არ მომიგია! მასწავლებელმა მშვიდად გაშალა გაზეთი და მოგებათა ცხრილში აჩვენა ნუკრის წითელი ფანქრით შემოვლებული ნომერი:

— შეხედე, აი შენი „ვოლგა“.

— ეგ ჩემი არ არის! — ჩაილაპარაკა მოღუშულმა ბავშვმა.

— რატომ არ არის შენი? — გაიკვირვა მასწავლებელმა.

— ნომერი ის არ არის...

— რა უცნაური ხარ! შენია ეს ნომერი, ნუკრი, მაშასადამე, „ვოლგაც“ შენია, მომეცი შენი ბილეთი!

ბიჭმა მასწავლებელს ბილეთი გაუწოდა. მან გაშალა ბილეთი, დახედა ნომერს, შეიჭმუნა, გაოცებულმა პორტფელში რაღაცის ძებნა დაიწყო, იპოვნა აფთხი უბის წიგნაკი, გადაფურცლა, შემდეგ კი იბჭს მკაცრად შეხედა და ჰკითხა:

— რა უყავი ის ბილეთი, კლასში რომ მიიღე?

— თქვენ ეს მომეცით!

— შეუძლებელია!.. — დაბნეით ჩაილაპარაკა

ერთი მასწავლებელმა და უცებ რაღაც გაასხენდა, სწრაფად გადმოაბრუნა ბილეთი — არა, ნუკრი, ეს სხვა ბილეთია, მე იმას დააწერე სიტყვა „ვოლგა“, განა შენ არ გახსოვს?

ნუკრი ადგილიდან წამოვარდა, მივარდა მასწავლებლის მაგიდას, აიღო ბილეთი — მასზე მართლაც არავითარი წარწერა არ იყო. ბიჭი გაფითრდა, თვალწინ აუთამაშდა ბავშვების დაძაბული სახეები და რომ არ წაქცეულიყო, მაგიდის კიდეც ჩასჭიდა ხელი.

— დაწყნარდი, ნუკრი, — მასწავლებელმა სათუთად მოხვია ხელი მხრებზე, — მოიგონე, რა უყავი შენი ბილეთი?

— მან... მან მართლა მოიგო? — ძლივს გასაგონად იკითხა ბიჭმა.

მასწავლებელმა თავი დაუქნია.

ნუკრისმ ამოიგინა და ხმის ამოუღებლად, თავქუდმოგლეჩილი გავარდა კლასიდან.

ნუკრი რეზო სიმონიშვილის სახლისკენ მიბრუნდა, მაგრამ უცებდ შუაგზაზე დაინახა იგი. რეზო ფოსტასთან იდგა და ღმილით უხედა მადლობას მოსალოცად შეერებოდა მეზობლებს. მიიტანა თუ არა ბედნიერი ბილეთი შემნახველ საღაროში, ახალი ამბავი — სიმონიშვილმა „ვოლგა“ მოიგო, იმწამსვე მოედო მთელი სოფელს.

ნუკრისმ უფროსებს შორის გზა გაიკაფა და რეზოს მივარდა:

— მომეცი, ჩემი ბილეთი!

— რა ბილეთი? — გაიკვირვა რეზომ.

— ჩემი... რომელმაც „ვოლგა“ მოიგო!..

— ხომ არ გასულელი... მე შენთვის არავითარი ბილეთი არ გამოიმართევეა!..

— გამომართვი, გამომართვი, გუშინ, როცა ცხრილს გამოწმებდით, მაშინ მომპარე!..

რეზომ მხრები აიჩირა.

— მე შენ გუშინ თვალითაც არ მიინახია.

ნუკრისმ გაოგნებით შეხედა რეზოს, შემდეგ მაგრად დამუშტა ხელები და თავგანწირვით ეძგერა მას:

— უჩალო, ქურდო! მომეცი ჩემი ბილეთი!..

— რაშია საქმე? რა მოხდა? — იკითხა ხმაურზე გამოსულმა ფოსტის უფროსმა.

— მასწავლებელმა ამ სულელ ბიჭს ჩააგონა, „ვოლგას“ მოიგებო! — აუხსნა რეზომ, — ჰოდა, ახლა მთხვავს, რომ ჩემი ბილეთი მიცეცე!..

რეზომ მაგრად წავლო ხელი ნუკრის ყურში, აუწია და გაბოროტებით უთხრა.

— გეყოფა! მომიცედი, თორემ ცხვირპირს დაგამტვრევ — და როგორც ახეზარ ლევს, ისე უდიერად ჰკრა ხელი. ბიჭი შებარბაცდა, წაიქცა, და მაგრად დაჰკრა სახე ქვაფენილს.

— განა შეიძლება ასე მოექცე ბავშვს? — აღშფოთდა სოფლის მალაჩის გაშვიდებული. მას ხურდა ნუკრის დაზმარებოდა, მაგრამ ბავშვი თვითონ წამოხტა და გაიქცა.

როცა ნუკრის სკოლაში მიიბრინა, შესვენება დაიწყო, იგი სწრაფად შევარდა სამასწავლებლოში, ერთი მასწავლებელს ჩაეკრა მკერდში და ატირდა. თურმე რა პატარა და სულელი ყოფილა, რომ რეზომ ასე ადვილად მოატყუა, და თანაც ხალხის თვალწინ სცემდა.

მოვიდა სკოლის დირექტორი. მან სამასწავლებლოში შეიტყუო საქმის ვითარება.

— მე ვამეცადინებ შენს კლასს, — უთხრა დირექტორმა ერთი მასწავლებელს, — შენ კი ნუკრისთან ერთად ფოსტაში წადი და უფროსს აუხსენი რაც მოხდა.

მაგრამ ფოსტის უფროსის დარწმუნება, რომ ბედნიერი ბილეთი სიმონიშვილს კი არ ეკუთვნის, არამედ რეხვიაშვილს, შეუძლებელი აღმოჩნდა.

— სიამოვნებით დაგეხმარებოდით, ქალიშვილო, მაგრამ რა ექნა? ჩვენ ვალდებული ვართ „ვოლგა“ ბილეთის მფლობელს მივცეთ. მფლობელი კი რეზო სიმონიშვილი აღმოჩნდა.

— ამ ბილეთზე ჩემი წარწერაა, თქვენ შეგიძ-

ლიათ ეს შეამოწმოთ! — დაუინებოთ მოითხოვდა ერთი.

უფროსმა თავი მოიქეცა.

— ეს დამაჭრებელი საბუთი არ გახლავთ. ვინ იცის, იქნებ თქვენ თითონ ატყუეთ, ქალიშვილო, ლატარიის ბილეთი რეზოს?

ერთი მასწავლებელმა ბიჭს ხელი დაავლო, ქუჩაში გამოიყვანა და პირველსავე შემხვედრ მანქანას ორივე ხელი აუწია:

— გთხოვთ, ძალიან გთხოვთ... გააჩერეთ, სასწრაფო საქმე გვაქვს.

— ცუდად არის ვინმე? — იკითხა შოფერმა.

— არა, რას ამბობთ! — შეეპასუხა მასწავლებელი და შოფერს დაწვრილებით უამბო ყველაფერი, რაც ნუკრის ვადახდა თავს.

მანქანა გზატკეცილზე გავიდა.

— გმადლობთ, — უთხრა ერთ მასწავლებელმა შოფერს — ჩვენ აქ დავიცდით და რომელიმე მანქანას გაუყვებით რაიონის პროკურატურამდე. მაგრამ შოფერს მანქანა აღარ შეუჩერებია; პროკურატურასთან რომ მივიდნენ, მან თქვა:

— თუ აქ არ დაგეხმარებინან, მაშინ დავიცდით და თბილისში წაგუყვანო...

* * *

... ისე გამოიტაცა კითხვამ, რომ ვერც კი შეეამჩნიე, როგორ შემოვიდა კაბინეტში აღმანოვი და მხოლოდ მაშინდა გამოვფხიზლდი, როცა მისი ხმა გავიგონე.

— გაეცანით საქმეს?

— რა მოხდა შემდეგ? — მოუთმენლად შევეკითხე, — ნუთუ სიმონიშვილმა მოახერხა ბიჭის მოტყუება?

— ვერა, ვერ მოახერხა!

— როგორ წართვით სიმონიშვილს ლატარიის ბილეთი?


აღმანოვმა ისევ გაიღმა:

— ეს არც ისე ადვილი იყო. თაღლითი უარზე იდგა, ათავჯარ ვერსიებს ჩმახვდა, დამეშუქრა კიდეც, რომ სამაგიეროს მომიზღვდა. მაგრამ მე მაშინვე ყადაღა დავადევი მოგებას, შემდეგ კი წესისამებრ გამოვიძიე საქმე და გადავეცი სასამართლოს.

— სიმონიშვილი გაახამართლეს?

— დიას. თაღლითობისათვის ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესჯა.

ქეკა-ქუხილი მინელდა. თუმცა ისევ წვიმდა, მაგრამ ცა მოიწმინდა და სადღაც მალა მზემ ამოყო თავი.





ვიოლჟა პალინსკაიჯა

წინა სივრცე

წინაპარი

აი, ტყის მარწყვს კრეფს წინაპარი
ჩემი, შორეული,
აი, რძის ასმევს გველბოკერას
ლომლომორეული,
აი, ის ლოცვას ცად ადავლენს
მულზე დაჩოქილი,
აი, პურს სთესავს, ქსოვილსა ქსოვს
ხელეზდახორკლილი.
მე მას ხიზმარშიც არასოდეს
არ დაველანდები,
მე როდის მოვალ, არც ის იცის,
არ დავედარდები;
დაიხ, ბევრი რამ ჩვენს წინაპრებს
არც გაუგონიათ,
იმათ სიცოცხლეს ქვეყნად ისე
გადაუტროლია.
ავფურცლავ წარსულს, მის ერთ ფურცელს
სრულიად შემთხვევითს, —
ჩემი სიმღერის დასაწყისის
პირველ ხმას შევხვდები,
ქვის ნაჭახების ხმის მოსმენაც
ამ გულს ავალია,
მიწაში არ ვარ, მიწაზე ვარ!
და ეს მთავარია!
მე კვლავ აქა ვარ, წინაპრები — იქ...
თავს ვხრი მათს წინა,
თავს ვუხრი ქვისგან გაჩენილ ციციხლს,
შარად რომ ბრწყინავს.

იზვიანებენ ჩიტები

ბოლავს ნიხლი ბორცვებს ზემოთ,
ლამის მთელ ცაბ წაბუროს.
ვიღებ მე შენს ბუმბულს, ჩემო
ჩიტო დაგვიანებულო!
საპატარძლოს ხეჭტებში
დაერქმევა უკვე ცოლი...
მე შენს ბუმბულს ვიღებ ხელში
და გავყურებ შენს გზას შორით.
ბუმბულს ხელში შევათროლებ,
ქარმა რომ არ შეაფოთოს,
ქარი სადაც მიაქროლებს
გაყვირებულ ცაცხვის ფოთოლს.
— გზა მშვიდობის! — შემოვკაბე
სიტყვა, ზღაპრად მოსმენილი
და ფოთლები მოცახტაბე
ვღვევ უფროთ ფროსნებზე
თარგმნა თაიშარაჯ ჯანაშულაშვილმა

ლიტერული წიგნის კვირეული... როცა თბილისში
ეს კვირეული მოეწყო, ბუნებრივია, რომ ჩვენ და-
ვიწყეთ ძებნა რა ურთიერთობა ჰქონიათ წარ-
სულში ჩვენს მოღვაწეებს ლიტერებთან, საიდან
იწყება ჩვენი მეგობრობა. აღსანიშნავია, რომ ამ
მეგობრობის სათავესთან ქართველი პოეტები დგა-
ნან. 1832 წლის შეთქმულების მონაწილენი, ჩრდი-
ლოეთში გადასახლებული გრიგოლ ორბელიანი და
გიორგი ერისთავი პოლონელებმა და ლიტველებმა
შეიფარეს და თბილი მეგობრული გული უჩვენეს.
ჰევა ცივია, მაგრამ ხალხი კეთილი და კარგად
მიიღეს, წერდა გრიგოლ ორბელიანი 1834 წელს
ქალაქ ვილნოდან თავის მეგობარს ანტონ ორბე-
ლიანს.

დღევანდელი სოციალისტური ლიტვის დედაქ-
ლაქი ვილნოუსი, ან როგორც მას ძველად ეძახდნენ
ვილნო, არაერთგზის მოიხსენება ზემოხსენებული
ქართველი პოეტების ბიოგრაფიაში. გრიგოლ ორ-
ბელიანი მსახურობდა პოლკში, რომელიც ვილნოში
იყო დაბანაკებული; აქ იგი, ბუნებრივია, ხშირად
ხვდებოდა ადგილობრივ მეკიდრთ და მათთან ახ-
ლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა; მანანა ორ-
ბელიანისადმი 1834 წელს მოწერილ წერილში, გრ.
ორბელიანი აღწერს თავის სტუმრობას ერთი იქაუ-
რი მემამულის ოჯახში და, სხვათაშორის, აღნიშ-
ნავს:

„იფიქრე მანანავ! შვიდ ქალში ჩვენ ორნი ვი-
ყავით კაცნი... საკვირველად ჰგვანდა ერთი მარია
ივანოვნას (მარიამ ორბელიანი, დმიტრი ორბელია-
ნის ძეუღლე), კინაღამ ქართულად დაველაპარაკე.
ახ. რარიგად უკრავს ფორტეპიანოს! მაგრამ სიმღე-
რა კი ვერ შეედრებოდა დაკვრას. მისი სახელი იყო
კონსტანცია... საღამომდის ყიამათად გავატარეთ
ღრო. ვახშამზე სადღეგრძელოები დაველიეთ ვის
ვინ უყვარდეს. და ამ ღამესა იქ დაერჩი. მეორე
დღეს გამოვესალმე და გზაზე ვამბობდი: როდის
იქნება ჩვენც ასე ვიცხოვროთ კაცურად, განა ზო-
გიერთს ჩვენში შეძლება არა აქვს! მაგრამ ჯერ
უშეოლონი და უბიბლიოთეკონი ვართ. მანანავ,
მამა გიცხონდა შენს ქალს კარგი ზრდილობა მიეც.
ვიცი ბევრნი დაგძრახავენ, რომ შენმა ქალმა სიმ-
ღერა ისწავლოს, მაგრამ ნურას დასდევ. წაგიდა ის
ღრო, როდესაც ჩუმით ყოფნა და კნავილით ლაბა-
რაკი დიდ ზრდილობად მიაჩნდათ“.

ვილნოუსში, 1835 წელს დაწერა გიორგი ერის-
თავმა თავისი შესანიშნავი ლექსი „უცხო ქვეყნის
ქაბუკს“. საინტერესოა, რომ გიორგი ერისთავიც,
გრ. ორბელიანის მსგავსად, აღტაცებული ყოფილა
იქაური ქალების სიმღერით. ამას მოწმობს მისი
ერთი ლექსი „პელაგია არციმოვიჩს“ (14 წლის
მშვენიერ ქალს ეამსა სიმღერისას). ამ ლექსში
კვითხულობთ:

უცხო ქვეყანას მე სხვისაგან ვადმოგდებულსა
შენი ციური მღერა ესრეთ მანუგეშებდის.

ვითა პატიმარს სასიკვდილოდ გამზადებულსა
რა უეცრად თავისუფლების ნება ეცემის.

აქედან ცხადად ჩანს, თუ რაოდენი შებვა აგრძ-
ნობინეს სამშობლოდან გადასახლებულ პოეტებს
იქაურმა პოლონურმა და ლიტვეურმა ოჯახებმა.
მეორე ლექსში გ. ერისთავი ვილნოუსელების მი-
სამართით წერდა:

სიღრმისა გულით გრძნობიულით ვარ
მადლობელი
ჩემის ესრეთის აღერსითა მიღებისათვის,
მაგრამ არ ძალმიძს დავივიწყო მხარე მშობელი
და სიხარულად მიმჩნია ვიტყრო მისთვის.

ასე გაუწოდეს ხელი ერთიმეორეს ქართველებმა
და ლიტველებმა ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის
პირველ ნახევარში.

დღეს, ჩვენი საბჭოთა ხალხების დიად ოჯახში ამ
კეთილად დაწყებულმა მეგობრობამ დიდი გასაქანი
ჰპოვა. ამის ერთ-ერთი გამოხატულებაა ლიტერული
წიგნის კვირეული, რომელიც თბილისში მოეწყო.

ეს გამოფენა გამართული იყო გამოცემლობა
„ნაკადულის“ წიგნის მაღაზიაში; გამოფენაზე ჩვენ
ენახეთ მხატვრული წიგნები, ნაშრომები ხელოვნე-
ბის სფეროდან, საბავშვო მწერლობა, სასკოლო სა-
ხელმძღვანელოები, სახვითი ხელოვნება, მუსიკა-
ლური ლიტერატურა, ფოტოალბომები, ლიტვის ხე-
დები და სხვა. გამოფენაზე წარმოდგენილი წიგნები
ტექნიკურად და მხატვრულად შესანიშნავად იყო
გაფორმებული; ეს არის იმის მაჩვენებელი, თუ
როგორ გაიზარდა ლიტვაში ეროვნული კულტურა,
კერძოდ როგორ ამაღლდა წიგნის გამოცემის ტექ-
ნიკა.

ხსენებული გამოფენა მოეწყო საქართველოს მი-
ნისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო
კომიტეტის თაოსნობით. გამოფენამ თბილისელ
მკითხველთა შორის დიდი ინტერესი გამოიწვია. გა-
მოფენის დღეებში თბილისში ჩამოვიდნენ ლიტვე-
ლი მწერალი, ყოველკვირეული ილუსტრირებული
ჟურნალის რედაქტორი ალფონსას ბელიაუსკასი და
პოეტი-ქალი ვიოლჟა პალინსკაიჯე. ისინი ეს-
ტუმრნენ „ღრომას“ და საუბარი ჰქონდათ რე-
დაქციის თანამშრომლებთან.

ალ. სიგუა



ქოთხრობაში ფლავია და გავლავსურობა

ანდრო ლომიძის მოთხრობების გამორჩევისათვის ზღვა — მშობლიური სტიქია; ისინი გაუწყრულად არიან დაკავშირებული ზღვასთან, შორ გზებზე წასულ ხომალდებთან, დაკავშირებული არიან არა მარტო პროფესიით, არამედ მთელი სულითა და გულით, მთელი თავიანთი მისწრაფებებით.

მწერალმა შესანიშნავად გვიჩვენა, რომ ამ ადამიანებისათვის ზღვა იგივეა, რაც გლეხისათვის მოხიბვნი ყანა; ქართულ ფოლკლორში არის ერთი შესანიშნავი ლექსი, რომელიც ასე იწყება: „ზღვაში ვხნავ და ზღვაში ვთესავ“. საქართველოში ცხოვრობენ ადამიანები, რომელთაც თავიანთი ყანები ზღვაში აქვთ. ისინი მთელი თავიანთი შრომითი საქმიანობით, მთელი ყოფით და სულის ყველა ძაფებით დაკავშირებული არიან ამ მღვდლვარე სტიქიასთან.

მწერლის ცოცხალი ინტერესი ზღვის თემისადმი იმანაც განაპირობა, რომ ანდრო ლომიძე ლიტერატურაში მოვიდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ზღვიდან, მეზღვაურთა წრიდან. ის დაიბადა და იზრდებოდა ფოთში, ძველ ფაზისში; ბავშვობის წლებიდან იგი დაუცხრომელი ცნობისმოყვარეობით შესცქეროდა ხმელეთზე გადმოსულ მეზღვაურებს, რომლებიც ხვალ ისევ შორეულ გზებს უნდა გაყოლოდნენ. იქვე, ფოთშივე გაიწიო მწერალი გემთშემკეთებელი ქარხნის ოსტატებს, მეთევზეთა კარკაპების მარჯვე მესაქეებს, გამოცდილ კაპიტნებს, შტურმანებსა და ბოცმანებს, ცეცხლფარეშებსა და მყვინთავებს, აქ გაიცნო მან ყველა საზღვაო პროფესიის ადამიანები, ზღვის ყველა მოჭირანახულები.

ფოთშივე ნახა და გაიცნო ანდრო ლომიძემ ის ამერიკელი ზანგა-მეზღვაური, რომელიც ესოდენ კოლორიტულად არის დახატული მის მოთხრობაში „მაველი“.

ზღვის ადამიანებზე მსოფლიო ლიტერატურაში ბევრი რამ დაწერილა, მაგრამ ყველა ქვეყნის მწერალს აქ თავისი ხალხის ეროვნული თავისებურებანი შეუტანია, თავისი ეროვნული ტრადიცია დაუშვებელია. ასეთივე ამოცანა იდგა ქართველი მწერლის წინაშე — გამოეხატა ქართველი მეზღვაური, ეჩვენებინა მისი ყოფა, შრომა, მისი სულიერი სამყარო.

და როცა ჩვენ ანდრო ლომიძის მოთხრობებს ვკითხულობთ, ჩვენს თვალწინ წარმოსდგება მთელი გაღვირვა მზით და ქართ სანეგარუჯული ადამიანებისა, მამაცი, სულით ძლიერი მეზღვაურებისა, ქართველი „ზღვის მგლებისა“; და ვგრძნობთ, მათი ყოველი სიტყვა, ყოველი ფრაზა, ყოველი ნაბიჯი თუ მოძრაობა, მოწმობს, რომ ამ ადამიანებმა ბევრი რამ განიცადეს, ისინი ისე შეერჩვივნენ ხიფათსა და განსაცდელს, რომ არაფერი აღარ გაუკვირდებათ და აღარ შეაკრთობთ; ჩვენს თვალწინ დგანან ამაყი ადამიანები; ისინი ჩვენ ცოტა უხეშები გვიჩვენებენ, მაგრამ მწერალი ახლოდან გვაცნობს მათ და ჩვენ



ანდრო ლომიძე.

ვგრძნობთ, რომ ისინი საოცრად ნაწი სულის ადამიანები არიან.

მეტსაც ვიტყვი, ანდრო ლომიძის მეზღვაურები არიან ნამდვილი რომანტიკოსები, ნამდვილი მეოცნებენი და ხანდახან გივერს, როგორ თავსდება ერთად ეს სინაზე სულია და ეს ვაჟაკური, მკაცრი და ებიკური საწყისი.

ეს მეზღვაურები, პლასტიკურად გამოკეთილნი მწერლის ხელით, არიან ცხოვრებაზე შეყვარებული ადამიანები. ამით ხიბლავენ ისინი მკითხველს.

მაგრამ ანდრო ლომიძე როდი აღამაზებს თავის საყვარელ მეზღვაურებს, რაღაც გამოგონილ „წმინდანებად“ როდი წარმოგვიდგენს. მწერალი თავის თვალსაზრისს არ გვახვევს თავზე, არაფერს არ გვაიძულებს, ის არ ცდილობს გადმოგვდოს ჩვენ თავისი სიყვარული, ის მხოლოდ ხატავს, მხოლოდ მოგვითხრობს. ის არ მაღავეს, რომ ამ მეზღვაურებს ბევრი ადამიანური სისუსტე ახასიათებთ, ხან ისინი აუტანელი არიან, მაგრამ დადგება წუთი და გამობრწყინდება ის შინაგანი შუქი ადამიანის სულისა, რომელიც ერთბაშად გააბრწყინებს კაცის მთელ ცხოვრებას, გიჩვენებს მისი სულის კეთილშობილებას. მისი მეზღვაური ისე მიდის სიკვდილის რისკზე, რომ გიჩვენება, თითქოს არც უფიქრდება ამაზე, მაგრამ ეს ასე არ არის. სწორედ აქ არის სპეციფიურობა მეზღვაურთა გმირული პროფესიისა.

სწორედ ასეთნი არიან გმირები ანდრო ლომიძის მოთხრობისა „ზღვაური“, სადაც მთელი ძალით ჩანს ადამიანის სულიერი სიდიადე და ვაჟაკობა. მოთხრობის მთავარი გმირი — პორტის კაპიტანია. შუაღამე გადა-

სულია. კაპიტანი თავის ხელქვეითებთან ერთად ზის პორტში და უცდის თბომავალ „უკრაინის“ შემოსვლას. მაგრამ ზღვაზე ქარიშხალი მძინვარებს და მისმა ზაფიანმა ხმაურმა თითქმის ოთახის ფანჯრები შემოღწვს. ამ დროს კაპიტანს აცნობებენ, რომ პორტის შუქურა ჩაქრა და „უკრაინამ“ შეიძლება გზა ვეღარ გაიგნოს. აუცილებლად უნდა აინთოს შუქურა, მაგრამ ვინ გაბედავს გასვლას ამ გაცოფებულ ზღვაში თვით სანაპირო სამსახურის ნაოსნები და ყველაზე გახედულიც კი მათ შორის, ლევანი, ვერ ბედავს ამ ნაბიჯის გადადგმას. ერთადერთი გამოსავალია — შუქურამდე ფეხით წახვიდე მოლოზე და ანთო შუქურა. მაგრამ მოლოს ერთი-მეორეზე ეხეთქებიან და რეცხავენ ტალღები, ისინი ერთ წამში წალეკავენ და შთანთქავენ ადამიანს, რომელიც აქ გამოვლას გაბედავს. მარტო უმცროსი ზედამხედველი ბედავს და გადაწყვეტს გავიდეს შუქურამდე. მაგრამ კაპიტანი მას ამის ნებას არ აძლევს, ვინაიდან იცის, რომ ეს ადამიანი — ახალი ნაავამუოფარია. აქვე იმყოფება ცალხელა ვანო, კაპიტანის ვაჟიშვილი, რომელიც სულ ახლახანს დაბრუნდა სევასტოპოლის ფრონტიდან. ცალხელა ფრონტილი გადაწყვეტს თითონ ანთოს შუქურა. კაპიტანის თვალეშე წამით სიამაყის შუქი გაბრწყინდება, მაგრამ უმალ მოედრება სახე მღელვარებისა და წუხილისაგან. განა ასე ადვილია ერთადერთი შვილი გაგზავნო სიკვდილისა და სიცოცხლის გზაჯვარედინზე? მაგრამ აღარც წუხილის, აღარც ფიქრის დრო აღარ არის, გადარეული ზღვა დალუპავით ეშუქრება უზარმაზარ გემს.

განსაკუთრებით გულიანს შემძვრელია მოთხრობის ფინალი: შვილის ლოდინით შეწუხებულმა კაპიტანმა ვეღარ მოითმინა და საძებრად გაჰყვა. მოლოზე ტალღამ წააქცია, კაპიტანმა ქვას დაჰკრა საფეთქელი და დაიღუპა, მეორე ტალღამ ის ზღვაში გადაგდო. შვილს თურმე აუნთია შუქურა, ბრუნდება უკან და მოლოზე სისხლს ამჩნევს; მან, ცხადია, არაფერი იცის მამის დაღუპვაზე და ჰგონია, რომ აქ ქორმა დაფლითა თოლია და ეს სისხლიც იმის ნიშანია. ქალზე თავისებურადაა დაწერილი ეს მოთხრობა — მთელ ამ ამბებზე მწერალი მოგვითხრობს ისე უბრალოდ, თითქოს საქმე სიკვდილ-სიცოცხლეს კი არა, ადამიანის მამაცურ თავგანწირვას კი არა, არამედ უბრალო, ყოფითს, ჩვეულებრივსა და ყოველდღიურს ეხებოდეს. და მართლაც. განა ეს ასე არ არის?

ეს თავგანწირვა ამ ადამიანებისათვის — ყოფა, ყოველდღიურობა, ჩვეული საქმეა; აქ ყოველგვარი მაღალი ფრაზების და პათეტიკის გარეშე ჩანს ყველაზე ამაღლებული რამ — სიყვარული შვილებისადმი, საშობლოდადმი, ადამიანებისადმი, რომელთაც თავისი ბედი მოგანდეს შენ და მშვიდად სძინავთ ვეებერთელა თბომავლის კაიუტებში იმიტომ, რომ იციან — მათი სიცოცხლე საიმედო ხელს აბარია. ანდრო ლომიძის მოთხრობებში — „სიცოცხლის ზემი“, „მთვლეელი“ და სხვები, თავისებური გამონათქვამებია ქართველი მხედრების გმირულმა ბრძოლამ სამამულო ომის ფრონტებზე.

შვილების ურთიერთობა მშობლებისადმი აისახა მწერლის არა მარტო პატარა ეტიუდში „იმე და მამა“, არამედ საკმაოდ ვრცელ მოთხრობებშიც — „ნაღები და ყვავილები“, „თებრონი და შინა“. ამ ბოლო მოთხრობაში მწერალმა გვიჩვენა უსულგულო შვილი, რომელიც მოხუც დედას უპატრონოდ დატოვებს და ბოლოს უკანასკნელ თავსმსაფრასაც კი გაუყიდის; საერთოდ, მწერლის ამ ციკლის მოთხრობებში წამოჭრილია ყოფისა და მორალის უაღრესად მწვავე პრობლემები.


ანდრო ლომიძე არის არა მარტო მწერალი-მეზღვაური, არამედ, იმავე დროს, მწერალი-მონადირე. ე. ი. ის სამუდამოდ შეყვარებულია საქართველოს ბუნებაზე. სულ ახლახანს გამოვიდა მისი წიგნი „მონადირის გული“, კითხულობ ამ წიგნს და რაღაც ჩუმი, თითქოს უნებური მღვდვარება გეუფლება; ხანდახან გგონია, რომ წიგნს კი არა კითხულობ, თითონ დადიხარ საქართველოს გზებზე, ხან იგრის პირზე ხარ და ხანაც შრამის მიდამოებში, ხედავ ადამიანებს, გვირბიებს, კაპებებს, ქორებს და მუარდება დიდი სიყვარული ადამიანებსა და ბუნების დანარჩენ შვილებს შორის.

ანდრო ლომიძის ჩვენ ახლა იშვიათად გხვდებით. მას გულის ავადმყოფობა აწუხებს და ქუჩაში ისე ხშირად აღარ გამოდის. წლიდანელი წლის ივნისში ის სამოცი წლისა გახდა. მიუხედავად ამ წლებისა და მიუხედავად ავადმყოფობისა, ის ისევ ისეთი გატაცებული მოტრფალია სიცოცხლისა და ქვეყნისა, როგორსაც მუდამ ვიცნობდით.

მივულოცოთ მას სამოცი წელი და ვუსურვოთ დღეგრძელობა, ვუსურვოთ ახალი წარმატებანი ჩვენი ლიტერატურის საკეთილდღეოდ.

გიორგი ნატროშვილი.

კოსმოსის გავრცელება და ადამიანის როლი



ინჟინერი ა. კარბელაშვილი

რადიოს მეოხებით დედამიწა უსმენს კოსმონავთების ერთმანეთთან საუბარს, როცა ისინი ჩვენს პლანეტას გარშემო უვლიან. თუმცა ადამიანს ჯერ კიდევ არ დაუდგამს ფეხი სხვა პლანეტებზე, მაგრამ რადიოტალღები უკვე „ესტუმრენ“ მთვარეს, ვენერას, მარსს, იუპიტერს. უახლოესი პლანეტა ვენერასთვის რომ მიეღწეათ, მათ 40 მილიონი კილომეტრი დაფარეს, ხოლო მარსს რომ „ესტუმრებოდნენ“, 100 მილიონი კილომეტრი „მოიტოვეს უკან“. 600 მილიონი კილომეტრი აშორებს დედამიწისგან იუპიტერს, მაგრამ საბჭოთა რადიოლოკაციურმა სადგურმა მაინც სტყორცნა მას რადიოსიგნალები.

...მეორე მათგანი იყო. თითქოს მას კავშირი არ უნდა ჰქონოდა რადიოასტრონომიასთან. მაგრამ ამ საკითხზე მეცნიერებს სულ სხვა აზრი შეექმნათ, როცა ინგლისელმა ინჟინერმა ჰეიმ თავისი გამოკვლევები გამოაქვეყნა; საქმე შემდეგში იყო:

ინგლისის სანაპიროებთან ფაშისტური თვითმფრინავების აღმოსაჩენად სამხედრო ინჟინრებმა დაიწყეს რადიოლოკაციური სადგურების გამოყენება. და აი, ერთხელ ერთ-ერთი სადგურის ოფიცერებმა ეკრანებზე შენიშნეს სიგნალები. ისინი იტყობინებოდნენ, რომ ინგლისის ფაშისტური თვითმფრინავები უახლოვდებოდა. გამოცხადდა განგაში და უამრავი საზენიტო ქვემეხი მოემზადა მტერთან შესახებ. მაგრამ თვითმფრინავების თავდასხმა არ მოხდა. მეორე დღეს საიდუმლო სიგნალები კვლავ გამოჩნდა ინგლისის რადიოლოკაციური სადგურების ეკრანებზე და არც ამ დღეს გამოჩნდნენ მტრის თვითმფრინავები. ამ შემთხვევამ დააფიქრა ინჟინერი ჰეიმ და იგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საიდუმლო სიგნალები მაშინ მიიღებოდა, როცა რადიოსადგურების ანტენები მიმართული იყო იმ მხარეს, საიდანაც... ამოდიოდა მზე.

დაიბ, მზე აღმოჩნდა რადიოტალღების მძლავრი წყარო. მზის მიერ დედამიწისკენ გამოტყორცნილი რადიოტალღები ბევრ ახალს აღლევენ მეცნიერებს მისი საიდუმლოების ამოსახსნელად.

და რაც უფრო განსაცვიფრებელ წარმატებებს აღწევს რადიოტექნიკა, მით უფრო ცხოველ ინტერესს იწვევს ისეთი მეცნიერული პრობლემა, როგორც არის სხვა პლანეტების მცხოვრებლებთან რადიოკავშირის დამყარება. მაგრამ არიან კი სხვა პლანეტებზე გონიერი არსებანი?

სამყაროში ვარსკვლავების რიცხვი წარმოუდგენლად დიდია, იგი ას მილიარდს აღემატება. ფიქრობენ, რომ არსებობს მილიონობით პლანეტა, სადაც შეიძლება განვითარდეს ცოცხალი ორგანიზმები, მათ შორის გონიერი არსებანი. აკადემიკოს ვ. ფერენკოვის ძალზე მკაცრი და პესიმისტური გაანგარიშებები უჩვენებენ, რომ დედამიწის გარდა, ჩვენს გალაქტიკაში არსებობს არანაკლებ 150 ათასი სხვა დასახლებული პლანეტა. აზრი იმის შესახებ, რომ დედამიწა ერთადერთი დასახლებული სამყარო არ არის, უძველესი დროის ბევრ გენიალურ ფილოსოფოსს გამოუთქვამს. ჯორდანო ბრუნო სამი საუკუნის წინათ ფიქრობდა ამაზე, ხოლო უფრო გვიან ფრიდრიხ ენგელსი ამბობდა, რომ მსოფლიო სივრცეში ცხოვრების დიდი რეზერვებია. ამ პრობლემაზე არა ერთი მისაზრება გამოთქვა კოსმოსური ერის პიონერმა კონსტანტინე ციოლკოვსკიმ.

მაგრამ ადამიანს დღეს მხოლოდ შეუძლია იოცნებოს იმის დანახვაზე, რაზედაც მეცნიერები ლაპარაკობენ, წერენ, მსჯელობენ და ერთმანეთთან დაიბენ. გზა ვარსკვლავთმეტყველების ძალზე შორია. თუ სინათლის სხივი მანძილს დედამიწიდან მთვარემდე 1 წამში გადის, მზიდან სხივის „მოგზაურობას“ დედამიწამდე 8 წუთი სჭირდება, ხოლო სხივმა დედამიწიდან ჩვენს უახლოეს ვარსკვლავს — პროქსიმე ცენტავრამს რომ მიადლოს, თითქმის 4 წელი და ორი თვეა სჭირო; ჩვენი მზის სისტემა საფოსტო ბარათის ზომამდე რომ შევამციროთ, მაშინ უახლოესი ვარსკვლავი მისგან ნახევარი კილომეტრის დაშორებით აღმოჩნდება, ხოლო მთელი გალაქტიკა დაიქვს საბჭოთა კავშირის ტერიტორიას.

ჯერ კიდევ 1896 წლის 26 ნოემბერს გაზეთ „კალუჟსკი ვესტნიკი“ კ. ციოლკოვსკი წერდა, რომ კოსმოსური კავშირისათვის საჭიროა მათემატიკის გამოყენება. მეცნიერს მიაჩნდა, რომ სულ პირველად სხვა პლანეტებისაგან გაგზავნილ უნდა იქნას ერთნაირი ხანგრძლივობის სინათლის სიგნალები, რათა მოხდეს „გონიერი არსებები“ დარწმუნდნენ, დედამიწაზე სიცოცხლე არსებობსო. ამასთან, სხვა პლანეტების მცხოვრებლებმა უნდა შეიტყონ, რომ დედამიწაზე ადამიანებმა იციან თვლა და ანგარიშობა.

სწორედ ამ იდეის შემდგომ დამუშავებას წარმოადგენს 1960 წელს ამსტერდამში გამოცემული ვრცელი ნაშრომი, რომლის ავტორია ჰოლანდიელი მათემატიკოსი ჰანს ფროიდენტალი. წიგნს ეწოდება „ლინკოსი“ და განიხილვება როგორც კოსმოსური ენა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ მეცნიერის

მიერ დამუშავებულ კოსმოსურ ენას საფუძვლად უდევს ის აზრი, რომ ყველა სამყაროსათვის, სადაც არ უნდა იყოს, არსებობს მათემატიკის ერთნაირი კანონები და ამიტომაც მხოლოდ ამ კანონებით შეიძლება ერთმანეთს გაუგონ სხვადასხვა პლანეტების მცხოვრებლებმა.

ენობრივი კავშირის პრობლემებზე მუშაობის გარდა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის წარმომადგენელი დიდ ადგილს უთმობს ასეთი კავშირის დამყარების ტექნიკა. ზარეს. 1959 წელს ევროპის ორმა ცნობილმა მეცნიერმა — მორისონმა და კოკონმა წარადგინეს სხვა პლანეტების გონიერ არსებებთან რადიოკავშირის დამყარების პროექტი, რომელშიც გათვალისწინებული იყო იმ ტალღების სიდიდე, რომლებიც უნდა განხორციელებულიყო ეს კავშირი. პროექტმა დიდი ინტერესი გამოიწვია. მომდევნო წლებიდან კი დაიწყო ზოგიერთი ვარსკვლავის „ყურის დაგდება“ რადიოტელესკოპების დახმარებით, ხომ არ იგზავნება იქიდან ხელოვნური სიგნალები.

საბჭოთა კავშირის, ინდოეთის, შვედეთის და კანადის მეცნიერების თანდასწრებით გრინ-ბენის ობსერვატორიამ რადიოტელესკოპის 25 მეტრი დიამეტრის მქონე ანტენა მიმართა ცის იმ ნაწილსაკენ, სადაც წინასწარი მონაცემები უნდა იყოს პლანეტები ცოცხალი არსებებით. 150 საათის განმავლობაში გრძელდებოდა ექსპერიმენტი, ყოველგვარი რადიოხმაური იწერებოდა მაგნიტურ ფირზე და შემდეგ ელექტრონული მანქანებით ხდებოდა მათი გაანალიზება. რადიოური კოსმოსის სიღრმეს უსმენდა... და მიღებულ სიგნალებში რაღაც კანონზომიერება შეიგრძნეს მეცნიერებმა. მალე აღმოჩნდა, რომ ეს არ იყო ხელოვნური სიგნალები. ექსპერიმენტის ორგანიზატორებმა მაინც არ გაიტყბეს გული; მართლაც, გონიერი არსებანი სხვა პლანეტებიდან შეიძლება განუწყვეტლივ არ გზავნიდნენ რადიოსიგნალებს და თუ მსგავსი ექსპერიმენტები არ განმეორდება, არც არასოდეს დამყარდება კოსმოსური კავშირი.

1960 წელს კოსმოსში გაგზავნილ იქნა რადიოსიგნალები მზისმავგარი ვარსკვლავების — ტაუსა და ეპსილონის მიმართულებით. იქნებ ეს სიგნალები მიიღონ ამ ვარსკვლავების მახლობლად, ფიქრობენ მეცნიერები. რადიოტალღები ამ ვარსკვლავებს მიადწევენ მხოლოდ 1971 წელს და თუ იმავე წელს საპასუხო სიგნალები გამოგზავნება ჩვენი პლანეტისაკენ, ისინი დედამიწას 1982 წელს „ესტუმრებიან“. უცხოეთის მეცნიერები ცდილობენ მიიღონ რადიოსიგნალები სხვა პლანეტებიდან 21 სანტიმეტრი სიგრძის ტალღებზე. ეს იმით, რომ ასეთი ტალღა თითქოს სპეციალურად არის განკუთვნილი „კოსმოსური ლაპარაკისათვის“, ვინაიდან ვარსკვლავთშორისო სივრცეებში გაფანტული წყალბადის ატომები წარმოქმნიან სწორედ ასეთი სიგრძის რადიოსიგნალებს, რომლებსაც დღეს რადიოტელესკოპები იღებენ. იქნებ ამ შემთხვევით რადიოსიგნალებში კოსმოსიდან გამოიქრას იმავე სიგრძის ხელოვნური სიგნალები. იქნებ გონიერმა არსებებმა მძლავრი რადიოაპარატურა შექმნეს, რომელიც სწორედ ამ ტალღებზე მუშაობს, რადგან 21 სანტიმეტრიანი სიგრძის ტალღები შეიძლება მივიჩნიოთ თავისებური უზენაესი სიგრძის „კოსმოსურ“ ეტალონად.

კოსმოსური კავშირის დამყარების უპირველეს ეტაპად მეცნიერებს მიაჩნიათ ი რომ საჭიროა რომელიმე პლანეტის მცხოვრებლებმა შეიტყონ, რომ მათ მიერ გამოგზავნილი სიგნალი მიღებულია დედამიწაზე. ამისათვის საჭიროა მათაც გაეგზავნათ მსგავსი საპასუხო სიგნალი, მაგრამ ეს რომ მათ რადიოქოთ არ მიიჩნიონ, ამ გაგზავნილ სიგნალს რაიმე კანონზომიერი განსხვავება უნდა ჰქონდეს.

ერთი სიტყვით, პირველად უნდა მოხდეს ის, რასაც დღეს ჩვენ ვაკეთებთ, როცა ტელეფონის ზარის წკრიალის საპასუხოდ მიღს ვიღებთ და ვამბობთ: „ალოო!“. ჩვენი პლანეტის საპასუხო სიგნალებიც კოსმოსური „ალოო“ იქნება.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ კოსმოსთან საუბარი, თუ იგი განხორციელდა, ძალზე ხანგრძლივ დროს მოითხოვს. მაგრამ მეცნიერებამ და ტექნიკამ შეიძლება შექმნას უმძლავრესი რადიოგადამცემები, მაშინ დროის მოკლე მონაკვეთშიც მოხერხდება ინფორმაციის გადაცემა.

მართა რადიოტალღებს როდი შეუძლიათ ინფორმაციის „გადატანა“ უსაზღვრო სივრცეებში; ინჟინრები დაძაბულად მუშაობენ სინათლის გამოყენებით კავშირგაბმულობის სხვა საშუალებათა შესაქმნელად. შესანიშნავ ხელსაწყოს — ლაზერს შეუძლია შექმნას არაჩვეულებრივი სიმძლავრის სხივი. ამ სხივის დახმარებით კი შესაძლებელია ინფორმაციის უღრმესი ნაკადების „მოგზაურობა“ უშორეს მანძილზე.

ფიქრობენ, რომ XX საუკუნის ბოლოს თუ ჩვენს „კოსმოსურ ძმებთან“ ორმხრივი კავშირი არ დამყარდა, ჩვენი პლანეტა ყოველ შემთხვევაში, მათგან პირველ სიგნალებს მაინც მიიღებს.

რაგინდ გრანდიოზული და მიუღწეველი არ უნდა ჩანდეს ეს საქმე, იგი მაინც შეუძლია განახორციელოს კაცობრიობამ, რომელმაც ასე გაბედულად გადადგა ნაბიჯი ჩვენი დედამიწის საზღვრებიდან კოსმოსის უსაზღვრო სივრცეებში.





ამოხსნილი და ამოხსნელი საიდუმლოებანი

კაცობრიობის ისტორიას მრავალი ახსნილი და ბევრი ჭკრაც აუხსნელი საიდუმლოება ახსოვს, რომლებიც დაკვირვებით შესწავლას მოითხოვენ. მათ შესახებ მოგვითხრობს ლოურენს გრინი თავის წიგნში „ძველი აფრიკის უცანასკნელი საიდუმლოებანი“.

ლოურენს გრინმა თავისი ფეხით მოიარა მთელი შავი კონტინენტი, სწავლობდა იქაურ ხალხურ მდიდრულ ნასაც და აღლთ-ჩვევებსაც, აკვირდებოდა ყოფასაც და ძველ ხალხურ გადმოცემებსაც; ამ გზით მან სასწავლო-რაოზე გამოიტანა არა ერთი გასაოცარი ხალხური მიხედვრა თუ ინტუიციური მიგნება, რომლებიც დღესაც გაოცებას იწვევენ.



ციურ საიდუმლოებათა ამოხსნელი

სიერა-ლონე — პატარა სახელმწიფოა დასავლეთ აფრიკაში, ატლანტიკის ოკეანის სანაპიროზე. ამჟამად იგი დიდი ბრიტანეთის დომინიონია.

1909 წელს სიერა-ლონეს გუბერნატორი სერ ლესლი პრობინი ჩრდილოეთ საზღვრების დასათვლიერებლად გაემგზავრა. ტომების ბელადები გუბერნატორს ყველგან შეშფოთებულნი ხვდებოდნენ. „მალე დიდი უბედურება დაგვატყდება თავზე“ — ძრწოლვით გაიძახოდნენ ისინი.

ტომის ბელადებმა გუბერნატორს აუწყეს — მათ თურმე წინაპართაგან გადმოცემული ჰქონდათ, რომ განსაზღვრულ დროს ცაზე გამოჩნდება უზარმაზარი ვარსკვლავი, რომელიც დიდ უბედურებასა და გაჭირვებას მოუტანს ხალხს. ეს წინასწარ ნაგრძნობი უბედურება, ტომების ბელადების თქმით, ზალხს მომავალ წელს უნდა დასტეხოდა თავს.

მომდევნო 1910 წელს ცაზე მართლაც გამოჩნდა კომეტა გალუა; ეს წველი სიერა-ლონეში ყველაზე მოუხსავლადი წელი იყო. ამას ზედ დამატება ყვითელი ციების ეპიდემია და ათი ათასობით ადამიანი დაიღუპა მოშინლისა და ავადმყოფობისაგან.

კომეტის გამოჩენას, რა თქმა უნდა, ამ უბედურებასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა. ეს იყო მხოლოდ დამ-

თხვევა, რაც შეეხება კომეტა გალუას მოსალოდნელ გამოჩენას, ეს ამბავი იქაურმა ისტორიკოსებმა ათეული წლებით ადრე შეიტყვეს. მათ ხომ არც ომსურფატორები ჰქონდათ, არც თანამედროვე ტელესკოპები.

ამოდ როდის ეძახიან აფრიკას კაცობრიობის ცივილიზაციის პირველ აკვანს!



ჯადოსნური ძალის ბალახი

ბუშმენები უმთავრესად ცხოვრობენ სამხრეთ-დასავლეთ აფრიკაში და ანგოლის სამხრეთ ნაწილში. ტრანსვალის ტერიტორიაზე კი ამ ტომის ადამიანები შეუბრალებლად ამოეღებენ პოლანდიელმა, ინგლისელმა და გერმანელმა კოლონისტებმა, რომლებიც მათზე, როგორც ცხოველებზე ისე ნადირობდნენ.

პირდაპირ ფაოცებას ეძლევა ადამიანი, როცა ბუშმენთა მიერ დამზადებულ წამლებს და საწამლაგის საწინააღმდეგო საშუალებებს ეცნობა. ამ დარგში ბუშმენების სწორუპოვარ ხელოვნებას აღტაცებაში მოჰყავს თანამედროვე მეცნიერება.

უძლიერესი შხამი, რომელიც ბუშმენები თავიანთ ისრებს ავლებენ, ამჟვე დროს, წარმოადგენს საუკეთესო სამკურნალო საშუალებას და მცირე დოზით გულთ დაავადების სამკურნალოდ იხმარება. საესებით შესაძლებელია, რომ ბუშმენების ფარმაცეპიკალი შერკაცს მთელ რიგ სხვა პირველხარისხიან სამკურნალო საშუალებებსაც და თუ ეს ხალხი მოისპობა, მასთან ერთად დაიკარგება მრავალი ძვირფასი საიდუმლოება.

გამოჩენილი ექიმი ჰანს შირკი აგვიწერს მის მიერ ჩატარებულ სანატორიო ექსპერიმენტს. ერთ ბუშმენს, რომელიც ირწმუნებოდა, რომ მას არ ეშინია არც გველის და არც მორიელის შხამის, ექიმმა შიშველ ტანზე თორმეტი მორიელი მიუსია. მორიელებმა ერთიანად დაკბინეს ბუშმენი; გულალმა გაწოლილი ადამიანი კი, როგორც ჩანდა, არავითარ ტკივილს არ გრძნობდა. როცა შირკმა ბუშმენის სხეული დაათვალიერა, აღმოჩნდა, რომ მას ნაკენ ადგილებზე არავითარი შეშუპება არ ჰქონდა.

ფაოცებულ ექიმს ბუშმენმა აუხსნა, რომ იგი წინასწარ იღებს ხოლმე საწამლაგის მცირე დოზას და ამიტომ არც გველისა და არც შირიელის კბენისა არ ეშინია.

მოგზაურმა ჩაამენმა შეიტყო, რომ გველის ნაკენზე ბუშმენები იღებენ რალაც ბალახს, რომელსაც ისინი ეოკს ეძახიან და რომელიც უმაღლ არჩენს ადამიანს. სამწუხაროდ, მან ვერ მოახერხა გაეგო თუ რა ბალახია ეს.



წამცეული ხე ზეზე დგება

ერთხელ, ტანგანიკის საოლქო სამართავლოში ძალზე აღლევებული და დამწუხრებული აფრიკელები მივიდნენ. მათ ტომს დიდი უბედურება დასტეხოდა თავს: განაწყენებულმა „ჯადოქარმა“ თურმე მიწაზე წააქცია წმინდა ბაობაბის ხე. „გვიშველეთ, ჯადოქარს უბრძანეთ ზეზე წამოაყენოს ხე, თორემ მთელ ჩვენს ტომს დამღუპვა მოელოს“, — შესთხოვდნენ აფრიკელები სამართავლოს მოხელეს.

როცა მოხელე შემთხვევის ადგილზე მივიდა, შორიდანვე დაინახა, რომ ბაობაბის ხე წაქცეული არ იყო; ხალხი მიანიჭ შემოხვევოდა მას და დასტორიდა. ამო გამოდგა მოხელის მტკიცება. აფრიკელები დარწმუნებული იყვნენ, რომ ხე მიწაზე იყო გართხმული და არავითარ შთაგონებას არ შეეძლო მათი რწმენის შეცვლა.

მაშინ მოხელემ განზე გაიხმო ჯადოქარი და დაემტკიცა: — ახლავე წამოაყენე ხე, შე გაიძვერავ, თორემ მგ ბაობაბის ტოტზე ჩამოგადებ თოკით... მაშინ დაინახავენ წაქცეულია ხე, თუ არა!

ჯადოქარი შეშინდა. მან ბრძანება გასცა კოცონი დაენთოთ და ბაობაბისათვის თხა შეეწირათ მსხვერპლად. მოხელე მოწმე გახდა, თუ როგორი გაოცებისა და აღტაცების ძახილით შესტკეორდნენ აფრიკელები „მიწაზე გართხმულ“ ხეს, რომელიც, როგორც მათ ეჩვენებოდათ, თანდათან დგებოდა ზეზე; ბოლოს იგი სულ გაიმართა და გასწორდა.

ეს შემთხვევა, რომელიც ზუსტად არის აღწუსებული საოლქო სამართავლოს ოფიციალურ ოქმებში, ნათლად მოწმობს, რომ ტანგანიკის მკვიდრთა შორის არიან ილუზიისა და მასობრივი ჰიპნოზის უბედლო ოსტატები



ნათელსილვა და ფიქრის გადაცემა შორ მანძილზე

ლოურენს გრინს საოცარი ამბავი მოუთხრო ინჟინერმა ვარენმა.

1907 წელს ინჟინერმა ვარენმა დაამთავრა როდებოის რკინიგზის მშენებლობა და ლონდონში გაემგზავრა; ლონდონიდან ის ახლა ანგოლაში გაგზავნენ.

როდებოიდან რომ წამოვიდა, მან თითონაც არ იცოდა საით გაგზავნიდნენ; ცხადია, ეს არც იქაურმა მცხოვრებლებმა იცოდნენ.

ექვსიოდე თვის შემდეგ, როცა ვარენმა ზღვისაგან დაშორებულ რაიონში, მდინარე კუბალას სანაპიროზე ბანაი გაშალა, მასთან მივიდა ორი ჩამოქნძილი და გატანჯული სახის აფრიკელი.

— მიცანით თუ არა? — ჰკითხა ვარენს ერთმა ახლად მოსულმა.

ვარენმა ტანსაცმელმომოფლეთილ აფრიკელში ძლივს ამოიკნო ანტონიო — თავისი როდებოელი მსახური, ანტონიოს თანამგზავრი კი მზარეული აღმოჩნდა, რომელიც ოდესღაც მუშაობდა ვარენთან. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ინჟინერი ძალზე კეთილი კაცი იყო და სულაც არ ჰგავდა ევროპიდან ჩამოსულ კოლონისტს, რომლებიც აფრიკელებს ადამიანებად არ სთვლიდნენ; ამიტომ მსახურსაც და მზარეულსაც ვარენი ძალიან უყვარდათ.

ორივე მათგანმა თითქმის მთელი აფრიკა გადამიერეს იმ მტკიცე გადაწყვეტილებით, რომ ხელახლა ენახათ თავიანთი საყვარელი ადამიანი. აფრიკელებმა თავიანთი მეგობრის ძებნა დაახლოებით იმ დროიდან დაიწყეს, როცა ვარენმა ანგოლაში გაემგზავრება გადაწყვიტა. თავიანთი მოგზაურობის დროს აფრიკელებმა ბევრი ტანჯვა-ვატება გამოიარეს, ლამის შიმშილისაგან დაიხოცნენ, მაგრამ ვერავითარმა დაბრკოლებამ ვერ შესძლო მათი შეჩერება. ისინი პირდაპირ მიადგნენ იმ ადგილს, სადაც ვარენი იმყოფებოდა.

— მე დაუსრულებლად ვეკითხებოდი ანტონიოს, — იგონებდა ვარენი, — მინდოდა ზუსტად გამეგრა, როგორ მომხაკელოეს, მაგრამ ანტონიო ყოველთვის ერთ და იმავე მოკლე პასუხს მაძლევდა: „ასე მეუბნებოდა გული“.

გრინი ამას უწოდებდა „აფრიკელთა მეექვსე გრძნობას“ და ამგვარ „შორსხილვას“ ტელეპათიურ მოვლენებს მიაკუთვნებს. ახლა საერთოდ ძლიერ ბევრს წერენ ტელეპათიასა და ტელეკინეტიკაზე, პრესაში მოჰყავთ აუარებელი ფაქტები იმისა, თუ როგორ გრძნობენ ადამიანები რა ემართება მათს ახლობელს ასეული თუ ათასეული კილომეტრების იქით; ტელეკინეტიკა უფრო შორს მიდის — ის გულისხმობს არა მარტო შორ მანძილზე ხილვას, არამედ შესაძლებლად მიიჩნევენ, რომ ადამიანი-ტელეტრანსლატორი უშორესი მანძილიდან შეიძლება მოქმედებაშიც ჩაერიოს, გადასცეს მატერიალური, კერძოდ კუნთების ძალა, და ამგვარი „ფსიქიკური“ ზემოქმედებით მოძრაობაში მოიყვანოს საგნები.

მაგრამ აღსანიშნავია, რომ არ არის არც ერთი შემთხვევა, როცა მეცნიერულად აღწუსხათ, აწეწრათ და დაედასტურებინათ ტელეპათიური გადაცემისა და მიღების ყოველ უდავო ფაქტი. ეს საფერო ჯერ კიდევ მოელის მეცნიერების მხრით საფუძვლიან შესწავლა-გამოკვლევას.



რომან მიმინოვნილი



კომპროსი

ფიფას მეუფემ, მძლე როუზმა სპილენძის სასტვენს შთაბერა. მუისვე გააჩაღეს ბრძოლა ფიცხელი. წვივი წვივს მოხვდა, პელეს ძვლებმა იწვეს გახუნნი... აქეთ ჩარლტონი, იქ ფეხმარდი ეისებიო, — რომელს სამშობლოდ მოწამბიკის მხარე ჰქონია, — მხარეზე აესხა თორნ-ჯავშანი პორტუგალიის. აგერ ფარკაში და ალბერტი მრავალშეკვიანი. ფიცხი არტიმე და სტაილზი, ტრაბაზა ფაბრი... თვალდახუშული ქვეებს ტყორცნიდა პარკუიანი, თუმც ზევის ნებით ყველა ლოდი მიწანს ხვდებოდა. როგორც ფიცხ კანჯარს მისდევს ლომი გაშლილ ვილებზე. ფეხი ეშლება შეშინებულს, მუხლთ ეკვეთება. საცაა სწვდება ხახა მტრისა... გვერდზე გახტება, ბოლოს დაღლილი სულს მიანდობს მოუღლილ მღვივარს. ასე ჩაბღუჯა ბობი მურმა თასი ნიკისი, ჭერ მოპარული, შემდეგ ცუგოს გარჯით ნაპოვნი. — და გაუღიმა მას ქალღმერთმა. ამ დროს თვით ზევსმა ბედის სასწორი დაულოცა ტოფიკ ბახარაოვს.

კრილოვი

ერთხელ ვირმა და დათუნია ფეხმარათულმა მგლებს მოუწოდეს, სპილოს მოუხმეს, რქიან კამერს, ფეხმარდ კენგურუს. თქვეს: შეგვიძლია, რომ ფეხმართი ჩვენც გავახუროთ, ვერვინ დაგვჯანბნის, გუნდს დაიცავს ბელურა ოდეს. ზოდა, კარბში დადგა ვირი, სპილო სტომერად, ბელურა იყო დისპეტერი, ცენტრი კამერი, მგლებს რადას ვერჩი — იუვენ სწრაფი გარემარბები, მატრი უგავდათ ბნელ ბოსელში დადგმულ ოპერას. მარცხნივ ძელებთან გაოჩნებულ ვირს მარჯვენა მხრივ თორმეტი გოლი გაუვიდა, აურზაურში მიასრისა სპილომ ბელურა, ხოლო კამერი სულ ვერ ვნახეთ, — ის ოფსაიტში ბალახს სძოვდა წინანდებურად. მგლები გაიჭრენ თვის ფლანგებზე, როგორც ისრები. კარისკენ ველარ მოაბრუნეს მგლური კისრები... ბოლოს სპილომ თქვა: „გავისხენოთ ისევ ის თემა, რაიც ტაქტიკის გაკვეთილზე აგვიხსნა მწვრთნელმა, სულ არ გვივარგა ამ თამაშში, ძმებო, სისტემა!“ მუის გადიყვანეს წინ დათუნა, უკან კი მგლები. მათ ვირმა წიხლი უხატუნა, დათუნია კი, როგორც ნიანგი ბურთს დაეჭვრა და გახეთქა საპნის ბუშტივით (ბევრი უსტვინეს). ციდან მერცხალმა ჩამოსძახა: „გული გისკდებათ? თვითონ თქვენა ხართ დამნაშავე, არა სისტემა!“



ომარ ხაიანი

რას გვეჩი, მსაჯო? განა ბედის ანაბარა ვართ, დუშმანს შეერგოს საჯარიმო დარტყმა არამად! რომ მოგვადექი და ცხრა მეტრით უკან დაგვწიე კვლავ წინ წამოვალთ სამი მეტრის მოსაპარავად!



კონან ღობლი

ერთხელ შერლოკ ჰოლმსს ფეხმართის მსაჯობა სთხოვეს. არც თუ ორაზროვნად ვაგრძნობინე, რომ უარს არ ვიტყვოდი გვერდით მსაჯობაზე. შევატყვი, ჩემი წინადადება ესაზღვრა. მატრი ჩვეულებრივ დაიწყო, როგორც იწყება ხოლმე ყველა საფეხმართო შეხვედრა. შუა თამაშში ლურჯმაისურიანების მარჯვენა გარემარბმა თითქმის მთელი მოედანი გაიბრინა უბურთოდ და მოწინააღმდეგის მარჯვენა მცველს, რომელსაც მასთან არავითარი საქმე არა ჰქონდა, ლაზათიანი სილა გააწნა. შერლოკ ჰოლმსმა დაუყვანებლივ გააძევა შინდვრიდან... თერთმამისურიანების შეკარე. — რას სჩადით, სერი — ველარ დავფარე ჩემი გაცემა. — უოტსონ, თქვენ არ გესმით საქმის ნამდვილი ვითარება, — მითხრა შერლოკ ჰოლმსმა, — აქ გარეგნულად თითქოს მარჯვენა გარემარბია დამნაშავე. მის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს ის, რომ იგი ეცა არა მარცხენა მცველს, რომელზედაც თითქოს ნაწყენი უნდა ყოფილიყო, არამედ მარჯვენა მცველს, უბურთოდ გაარტყა სახეში. როგორ ფიქრობთ, ვინ უნდა გამეძევებინა? — რა თქმა უნდა, მარჯვენა გარემარბი, ან უკიდურეს შემთხვევაში, დაზარალებულიც კი, რომელმაც, შესაძლოა, გამოიწვია დანაშაული. — და თქვენ ფიქრობთ, უოტსონ, რომ აქ შეკარე არაფერი შუაშია? — ეჭვიც არ მებარება. — ახა, უოტსონ, ერთი დამაბნელ ყურადღება და მიხვედით ჩემი მსჯელობის კვალს. თქვენ, ალბათ, შეამჩნიეთ, რომ მარჯვენა გარემარბს ყელზე შეღლილი ჰქონდა. — მართალი გითხრათ, არ შემიმჩნევია. — ახლა მიყვებით მსჯელობას, — განაგრძო



სულხან-საბა ორბელიანი

ერთ ტურას ლობჯინა უთხრეს. იმა ქოროსა შინა ბულბული ჰყვა და მაგი შგალობელი. ასე თქვა თუ: ახა ეგ ჩიტები რას მარჯია, თუცა კი სიმღერა იციან, გარნა ყვირილს უმეტრისი გასავალი აქვსო. ვირი წაიყვანა და ყვავიცი ზედ დაურთო. აგრე უთხრეს: ფარშავანგიცა გყავდეს, იმანაც უწნო ყვირილი იცისო. გარნა ტურა გაჩიუტდა, საყვირლად კარგია, მაგრამ ლამაზიაო. თურე იმა კონცერტზე სხვებს ჩიკვები და ჩხარტვები მყოლოდათ. საცა რამ ბულბული გაერია, სულ დაკორტნეს და გააძეს. ტურას ქორომ დია ბევრს აჯობა. გარნა ყველას თუთიყუშებმა სძლიეს. დია გაწყრა ტურა: ჩემს ყვავებს სხვისი თუთიყუშები რითა სჯობიანო. ის კი არ უწყოდა, თუ მათ, თუთიყუშთა, გალობა ბულბულისგან ესწავლათ. აწ ეხეცა უწყოდეთ, მესვეურნო ფეხმართისაო, რამეთუ მფსიკობის თავი ცოდნა არს ვალობისა, თორე ვირის ყროყინი ბარე ასი ბულბულის ხმას დამფარავს. დათვს ოთხი ფეხი აქვს, გარნა ორფერხი კაცი უამესი მობურთალია!

შერლოკ ჰოლმსმა, — ხომ ხედავთ, მეკარეს წითელი გეტრები აცვია და შავი ხელთათმანები, ხოლო მარცხენა მცველს მარჯვენა ხელზე ბეჭედი უკეთია, ახლა ხომ გასაგებია?

— გულახდილად გეტყვით, ვერაფერი ვერ ვიცი!

— არა უშავს, უოტსონ, — დამიყვავა შერლოკ ჰოლმსმა, — ახლავე გაგარკვევთ: „რადიატორის“ გუნდმა რომ „მუხრუჭს“ მოუგოს, ლიდერი გახდება „მაჭუთი“, რომელსაც თავის მოედანზე აქვს შეხვედრა „კალოშთან“ და „ჭანჭიკი“ კიდევ უფრო ჩამორჩება „მაჭუთს“, „ჭანჭიკის“ შეფი კი თვით მისტერ მორდოკია. ახლა ხომ გაიგეთ, რატომ ვაძიებ „მაჭუთის“ მეკარე?

— საოცარია! — აღტაცებით წამოვიძახე მე, — ნამდვილად ის ყოფილა დამნაშავე!

— თქვენ კიდევ ბევრს გაიგებთ, უოტსონ! — ლიმილით მითხრა შერლოკ ჰოლმსმა და ბურთი „მაჭუთის“ კართან თერთმეტმეტრიანი საჭარბოს წერტილზე დასდო.



ვლ. მახაზარიაძე

ბრაიტონში ვიყავი და ქუჩაში ძლივს დამიპირა ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა. დიდხანს ვისაუბრეთ. ამ დროს ქუჩის მეორე მხრიდან ჩემი სახელი მომესმა. არ გამეკვირვებია, აქ ბევრი მიცნობს, მაგრამ თავშეკავებული ინგლისელებისგან ასეთი სამხრეთული ტემპერამენტით აღსავსე შეძახებას არ მოველოდი. მოვიხილე და რას ვხედავ: თურმე პეულე არ ყოფილა!

— რა მოგივიდა, ბიჭო, „ხმელი ფოთოლი“ დიდის შევასწავლე და შენ არ იყავი უნიჭო ბიჭი, რატომ ვერ გადაიღე-მეთქი.

— შენგან არ მივიკის, ჩემო ვოვა, ასეთ ლაწალუწში რა „ხმელი ფოთოლი“ გამოვიდოდა, და თუნაშვილი კი არა ვარო.

— აბა რავა გეგონა, ძმაო, ძნელია ფეხბურთის თამაში-მეთქი.

— მაპატიე, ჩემო ვოვა, აწი მე ვიციაო, — მითხრა პეულემ და დარცხენილი გამცილდა.

შემეცოდა მაინც და პეულეს შესახებ კაი მწარე სიტყვები ვუთხარი ფიფას პრეზიდენტს სტენლი როუსს. „შენი ჭირიმეო, — მითხრა ინგლისურად სტენლიმ, — არ ვიცი, რით გამოვისყიდო ჩემი დანაშაული. მოდი, ფინალურ თამაშში ჩემს მაგიკრად დაჭეტი დედოფალ ელისაბედთან ლოჟაში, ხომ იცი, შენი ნახვა როგორ გაეხარებოდაო“.

— რაკი პეულე დაამტკიცეთ, აწი ვისაც ვინდათ, მიეცით თასი-მეთქი, — ვუთხარი გაბრაზებულმა.

ისე კი მართალი ვითხრათ, სად შეცალა ამისთვის: სადამოს პარიზში, შალიკოსთან ვახშამზე ვიყავი დააბათიებელი.



**ნაწუხები
სადოქტორო დისპარტაციიდან**

... საბჭოთა ფეხბურთის დიდმა კორიფეებმა ჩისტოვალოვმა, პალისკამ, პროხოროვმა და აფანასიევმა შექმნიეს მისი (იგულისხმება ფეხბურთი, — ხაზი აქაც და ქვემოთაც ჩვენია. ზ. ზ.) შემტევი, ღრმად ემოციური, უაღრესად ინტერნაციონალური სტილი ამ ვაჟაკური, მამაცური, გულადური, გაბედული, ფიზიკური და უაღრესობამდე მიწვენილი თამაშისა. საბჭოთა ლიტერატურის კლასიკოსი, ჩვენი ეპოქის უნიჭიერესი პოეტი ვლადიმერ (იმ დროს ჩვენი ფეხბურთი, როგორც იტყვიან, ფეხს იდგამდა. ზ. ზ.) მაიაკოვსკი სამართლიანად აღნიშნავდა: „მე მანდატების არ მაქვს პატივი, ბიუროკრატობას დავგლეჯ მგელივითო“.

სწორედ ამიტომ შესანიშნავი იყო მატჩების კომპოზიციური აღნაგობა და, ასე ვთქვათ, მთლიანობა, ფინტები ბელტებით იგანტებოდნენ და აუტიდან აუტამდე თამაშის ეპიზოდები ივსებოდა ბურთის უმისამართო ხატი-ხუთქით. ეს იყო ნამდვილი სექტაკალი, აღსავსე მოულოდნელი გრადაციებით; მაგრამ, მიუხედავად ამ დიდი ღირსებებისა, გუნდს გააჩნია დიდი ნაკლოვანებანი. ყოველი მატჩი აღსავსე იყო არა მარტო იდეურობითა და მაღალმხატვრულობით, არამედ უიდეობითა და დეკადანსით, როდესაც ცალკეული მოთამაშეები ეფლობოდნენ სიმბოლიზმისა და ფორმალისმის ჭაობში. პერსონაჟი პერსონაჟს არ ჰქეტავდა. მაგრამ ეს ნაკლოვანებანი ჩრდილს ვერ მიაყენებენ „დინამოს“ სახეს...



მანიაკოვსკი

დრო არის
ჩვენც გვქონდეს
სურვილი
ასეთი:
ამაყად
გავშალოთ
საღამოს გაზეთი,
ეწეროს:
ჩვენც რადიო
დაგვიკარეს კეპიო:
ვაშა ჩვენს ნაკრებს —
მსოფლიო ჩემპიონს!

ვინც გალა —
გვიღებთ,
ჭურჭს ავუ —
ბოლებდეთ
ბრედნევის,
პუჩაჩის,
მედვიდის
გოლებით!



მუხრან მახაზარიაძე

ფეხების ტყეა უღრანი,
რას ვიშველის ახლა აქ ფინტები?
კაი ბიჭი იქნება,
გახარებული იქნება შენი მუხრანი,
უკეთუ სულ არ დაიფანტები
და პასს მოახერხებ.
მცველმა თუ ფეხი მოვახერხა,
საჭარბოს დარტყმის უფლება გიბოძონ ეგებ...




მახვალა მრავლიშვილი

ჭია, ჭია, ჭიოტა,
ბიჭი გზად მიდიოდა,
ხალხი მიღწე-მოღწეა,
ვერ კი ჰყრიდა გოლებსა...

აცუნ, ბაცუნ, ცაცუნა,
ბურთით ველი გაცურა,
მაგრად მოუქნია და
ძლივსდა მოუცაცუნა...

ჩხიკვა უთხრა: გნებავთო
შეერთება კრებადო?
რა იქნება სულყველას
ერთი ფეხი გებათო!



აბითურიანტი

მე-19-ე საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში შემოიჭრა კამიტალიზმი. პოემაში „ვეფხისტყავესი“ აწერილ იქნა ბურთაობა. ტარიელი ინდოეთის დიდი ფეხბურთელი იყო და რომელიც ფეხშიშველა არ სთამაშობდა, იმიტომ რომ ტარიელი ქართველი იყო და დიდი პოეტის მსოფლმხედველობით ტარიელი გახდა ინდოელი. ამიტომ სთქვა პოეტმა: „მობურთაღსა მოედანი მართლა ცემა მარჯვით, ქნევა“. აქიდან ჩვენ ვიცით რომ, იმ დროს ფეხბურთელი ერთმანეთს პაღნოშქებს არ უღებდენ არამედ, მართლა ცემდენ ინტუიციით. მე მინდა ანალოგიურად მოვიგონო გუშინდელი მატჩი, რომელიც რადგანაც ფუტბოლი დახურა ხართი-შვილმა იმისთან რომ, სულ ზაშტრაფნოი ურტყა და მისთან ძაან ეწინააღმდეგე ტორპედოს და შტანგები ჩამოიღო და ბრაზილიური სისტემის ატაკურიუში ზაშტინიკებმა გვეამდა. პატარა სიჭი წაიქცა შტრაფნოიში და სულდამ არ მისცა. გოლი მაინც ვერ გავიტანეთ და პენისისტურ გუნებაზე ვიყავით რომელიც, რომანტიკოსებმა შემოიტანეს საქართველოში მე-19-ე საუკუნე. 1-ლ ნახევარში.

ამრიგად ფეხბურთი არის მე-20-ე საუკუნე. მოწინავე თამაში რომელიც ინგლისში გამოიგონეს.

გარეკანის პირველ გვერდზე — ხეცური გოგონა. ფოტო ოთარ თურქიასი. გარეკანის მეოთხე გვერდზე — ბაღში. ფოტო ნ. ანთიძისა.

რედაქტორი გ. ნატროშვილი.

სარედაქციო კოლეგია:

ო. გვიგინიშვილი, ს. ღურმიშიძე, მ. სააკაშვილი,

პ/მგ. მდივანი თ. გოგოლაძე.

ო. ტაბალა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.

საბ. კვ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი დ. ნოდია. ტექრედაქტორი დ. ხეფაშვილი. კორექტორი ნ. ქუთათელაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, III სართ. ტელ.—რედაქტორის 9-54-66, პ/მგ. მდივნის—9-82-69, განყოფილებების—3-28-42, 9-01-39.

რედაქციაში შემოსული მახალბედი ავტორებს არ უბრუნდებათ.

ფასი 30 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/VI-67 წ. გამოცე. № 102 ქაღ. ზომა 70x108¹/₈. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. საავტორო ფორმათა რაოდ. 4,79. პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 35.700. შეკვ. № 2227, უე 02130

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии.


საქ. კვ ც-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. №14.

საქართველოს სამხატვრო ფონდი

საქართველოს სამხატვრო ფონდი შემოქმედებით-საწარმოო ორგანიზაციას წარმოადგენს. მასში გაერთიანებული არიან სახვითი ხელოვნების მაღალკვალიფიციური ოსტატები. ფონდს აქვს ძალზე განვითარებული საწარმოო ტექნიკური ბაზები. საქართველოს სამხატვრო ფონდსა და მის განყოფილებებს (ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ქალაქებში) აქვთ თავიანთი საწარმონი, საგამოფენო დარბაზები და სალონები.

ამ სამხატვრო საწარმოებში დიდად დახელოვნებული მხატვრები მუშაობენ. ისინი ასრულებენ დაკვეთებს სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კომპერაციული ორგანიზაციებისათვის. ფონდის საწარმოების მიერ შესრულებულ სურათებსა თუ ქანდაკებებში ასახულია საბჭოთა ხალხის ყოველდღიური ცხოვრება, მისი ბრძოლა კომუნისმის გამარჯვებისა, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის. ასახულია ჩვენი სამშობლოს თვალწარმატებულება. ეს ნაწარმოებები ზრდიან და ამდიდრებენ ადამიანთა შეგნებას და გამოვლენას, აღვივებენ სიყვარულს მშობლიური ქვეყნისადმი.

სამხატვრო ფონდის საწარმოები დამკვეთელთან დადებული ხელშეკრულების შესაბამისად ქმნიან და ამზადებენ სურათებს — ისტორიულ-რევოლუციურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თემებზე: უანრულ სურათებს, პორტრეტებს, პეიზაჟებს, ნატურმორტებს, ძეგლ-მონუმენტებს, საქანდაკო კომპოზიციებს, ქანდაკებებს, ბიუსტ-პორტრეტებს, ბარელიეფსა თუ გორელიეფებს: ესტამპ-ავტოლიტოგრაფიებს, ოფორტებს, ლინოგრაფიურებს, გრავიურებს; პლაკატებს — პოლიტიკურსა, სააგიტაციოსა და სატირულს. საქარხნოსაფაბრიკო მარკებს, ეტიკეტებს, სავაჭრო იარაღებს, გაფორმებას, სარეკლამო ხასიათის პროსპექტებს, პლაკატებს, ალბომებს, კინო და თეატრალურ აფიშებსა და რეკლამებს.



ფონდის შემოქმედებითი კოლექტივი, დამკვეთელის თემატური განაცხადის შესატყვისად, აწუბს სამხატვრო გამოფენებს, — მშრომელთა მიღწევების, საწარმოს კოლექტივთა სწავლების, ყოფისა, სპორტული ცხოვრება-დასვენებისა, საბავშვო ბაღებისა, პიონერთა ორგანიზაციებისა და სკოლების ყოფის თემებზე. საჭიროების შემთხვევაში ფონდის შემოქმედებით მუშაკებს შეუძლიათ შექმნან წარმოება-დაწესებულებებისა და კულტურის სახლებში სამხატვრო მუზეუმები.

ფონდის ორგანიზაციები საჭიროებისას მხატვრულად აფორმებენ მშენებელ ქალაქებსა და არქიტექტურულ ანსამბლებს, ასრულებენ ინტერიერთა მონატულობებს, აფორმებენ შენობათა და საზოგადოებრივ ნაგებობათა ფასადებს, ქმნიან ეტალონებს მოხატულობათათვის. ასევე ცალკეულ არქიტექტურულ დეტალებს ტიპიური მშენებლობებისათვის. აფორმებენ ქუჩებს, პარკებს, სკვერებს, დემონსტრანტთა კოლონებს, საზეიმო საღამოებს, ფიზკულტურულ პარადებს, სპორტმოედნებსა და შეჯიბრებებს, ახალგაზრდულსა და სხვა ფესტივალებს, მასკარადებსა და კარნავალებს.

ფონდის სალონებსა და გამოფენებზე თქვენ უოველთვის შეგიძლიათ შეიძინოთ ფერწერისა და ქანდაკების ნაწარმოები,



ესტამპები, აქვარელი, კერამიკა, მხატვრული მინა, დეკორატიული ქსოვილები, საიუველირო და ქედური ხელოვნების ნაწარმი, ხეზე და ძვალზე კვეთილობანი და სუვენირები.

გასაუიდად გამოშვებული ნაწარმი ყოველთვის ისინჯება წინასწარ და მტკიცდება ფონდის სამხატვრო საბჭოს მიერ.

სამუშაოთა მოცულობისა, ასევე მატერიალურ თუ სხვა პირობათა დასადგენად და გასარკვევად, ფონდის საქალაქო და საოლქო განყოფილებები წინასწარ მიავლენენ აღგილებზე გამოცდილ მხატვარ-სპეციალისტებს.

ყოველი დაკვეთა თქვენ შეგიძლიათ გადმოუგზავნოთ რესპუბლიკურ ფონდსა თუ მის განყოფილებებს, მისდამი დაქვემდებარებულ კომბინატებს, სახელოსნოებს და წარმოებებს.

- საქართველოს სამხატვრო ფონდის მისამართები და ტელეფონები**
- თ ბ ი ლ ი ს ი, რუსთაველის პრ. 22. ტელ. 9-67-26
 - ქ უ თ ა ი ს ი, ბროსეს ქ. № 2. ტელ. 53-90
 - ც ხ ი ნ ვ ა ლ ი, ხეთაგუროვის ქ. № 4. ტელ. 0-67
 - ს ო ხ უ მ ი, ფრუნზეს ქ. № 20. ტელ. 35-30
 - ბ ა თ უ მ ი, ბლაგოვეგრადის ქ. № 6. ტელ. 43-00.

ИНДЕКС 76056

8/11/1944

